,,ა(ა)იპ '' საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ჟანა ანანიძე

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
დარეჯან გელაძე

ხიჭაური
2020

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.''

ნაშრომის ავტორი: ჟანა ანანიძე

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,,ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში'', ეხება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ინგლისური ენის სწავლებაში .

21-ე საუკუნე წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე, იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მათ შორის მნიშვნელოვანია განათლების ინფორმატიზაცია, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენე-ბას სასწავლო პროცესში. ციფრულ ტექნოლოგიებს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომლის მიზანია საგანთა შორის კავშირების დამყარება, ქსელური ძიება, ტექსტების ელექტრონულად დამუ-შავება, მულტიმედია საშუალებების გამოყენება, შემოქმედებითი, ინოვაციური მიდ-გომები. კომპიუტერული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესს მეტად მრავალფე-როვანს, შემოქმედებითს და საინტერესოს ხდის, ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ინტერესს და ეფექტურია განწყობის შესაქმნელად, ბავშვის ცნობისმოყვარეობის გასა-ღვივებლად, მასალის უკეთესად აღსაქმელად.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემულია აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მგომარეობა ინგლისური ენის გაკვეთილზე, კერძოდ, რა კონკრეტული სახის სირთულეების გადალახვა უწევთ მასწავლებლებს, რომელ საგანმანათლებლო პლატფორმებს და ვებგვერდებს იყენებენ, ატარებენ თუ არა პროექტ-გაკვეთილს, შეუძლიათ შექმნან დამოუკიდებლად სასწავლო რესურსი, იცავენ თუ არა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს. რა განაპირობებს ციფრული ტექ-ნოლოგიების შერჩევის პრინციპს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ინგლი-სური ენის გაკვეთილზე, მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინე-ბულ რა შედეგზე გადის. პანდემიის პირობებში რა პრობლემების გადალახვა მოუწიათ მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს, როდესაც ტრადიციული სწავლება შეცვალა დისტანციურმა სწავლებამ.

სამაგისტრო ნაშრომი დაეხმარება და სტიმულს მისცეს როგორც მოქმედ ინგლი-სური ენის პედაგოგებს ასევე მაძიებლებს, უფრო მეტად გააცნობიერონ ციფრული ტექ-ნოლოგიების მნიშვნელობა სწავლების პროცესში, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა სას-წავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა, წარმართვისათვის.

Annotation

Master’s work ,,Teaching English using digital technology’’ deals with the integration of technologies in English lessons.

The 21st century is unthinkable without digital technologies, it is used in all sphere of humans activity, including important informatization of education, which has facilitated the use of new technologies in the learnig/teching processes.digital technologies occypy a vital place in the competencies of the National Curriculum , the purpose of which is to stablish connections between objects , network sarch, electronic processing of texts , ose of multimedia tools, creatie ,innovative approaches .

Computer technology makes learning process more diverse, creative and interesting, increases student motivation, interest and is effective in creating mood, arousing the child’s curiosity, better understanding of the material. The master's thesis shows the similarity of the use of digital technologies in the English language lesson in the general education schools of Adjara, in particular, what specific difficulties teachers have to overcome, which educational platforms, and websites, whether they conduct project-study, can create projects independently. Legal and ethical norms. What determines the principle of selection of digital technology.

Using digital technology in an English language lesson, the teachers go through what is required by the National Curriculum. What problems did students, parents, teachers have to overcome in a lockout when traditional teaching was replaced by distance learning.

The master's work will help and stimulate both current English teachers and researchers to become more aware of the importance of digital technology to become more aware of the importance of digital technologies in the teaching process, to show more initiative to plan the learning process effectively, to lead.

სარჩევი

შესავალი 3

თავი I . - განათლების ინფორმატიზაცია.....

1.1. სამართლებრივი-ეთიკური ნორმები, დაწყებითი, საშუალო სკოლის მასწავლებლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

1.2.პედაგოგიკის კლასიკოსების შეხედულებები თვალსაჩინოების მეთოდზე..

თავი II - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილზე.....

2.1.ახალი ტექნოლოგიები ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარებაში.....

2.2. ელექტრონული თამაშები და სიმულაციები ინგლისური ენის სწავლებაში

2.3.მულტიმედია საშუალებების და პროექტ-მეთოდის როლი ინგლისური ენის სწავლებაში

2.4. ინტერნეტი და დისტანციური სწავლების როლი ინგლისური ენის გაკვეთილზე

თავი III - კვლევა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შესწავლა და გადაჭრის გზების ძიება ინგლისური ენის გაკვეთილზე

დასკვნები და რეკომენდაციები .....

გამოყენებული ლიტერატურა.....

შესავალი

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია, ცივილიზებულმა სამ-ყარომ უკვე დიდი ხანია გაითავისა, რომ განათლებული, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია სიახლის ძიება, რაც ემყარება სრულიად ზოგად-საკაცობრიო ღირებულებებს ცოდნასა და კულტურას. სწავლების პროცესში თვალსა-ჩინოების როლი ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და დღევანდელ დღე-საც აქტუალურია, თვალსაჩინოება ერთ-ერთ დიდაქტიკურ პრინციპს ემყარება, ბავ-შვის აღქმის უნარს აუმჯობესებს, თანამედროვე საზოგადოების ფორმირება დამო-კიდებულია ციფრული ტექნოლოგიების და სატელეკომუნიკაციო ხერხების გამოყე-ნებაზე. მსოფლიო მოიცვა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, რაც ზოგადსაკა-ცობრიო კულტურას საინფორმაციო კულტურით ამდიდრებს, სწავლების ახალი ტექ-ნოლოგიების გამოყენება, როგორც საქართველოში ასევე, უცხოურ ქვეყნებში წამყვან პრიორიტეტად ითვლება , ციფრულ ტექნოლოგიებზე დაუფლება მოსწავლეს ეხმარება დაძლიოს უცხოური ენის ათვისების სირთულეები, იგი შეუცვლელია ჟღერადი, ტექ-სტუალური, გრაფიკული ინფორმაციის მოპოვებისას, ასევე მეტყველებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. სასწავლო აღმზრდელობით საქმიანობაში ციფრული ტექნოლოგიების როლი და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა, ინგლისური ენის გაკვე-თილზე აქტუალური საკითხია.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში დადებით მხარესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეები:

დადებითი მხარე- სასწავლო პროცესის დამხმარე საშუალება, ინფორმაციის მოპოვების წყარო, ონლაინ პორტფოლიოს შექმნის საშუალება, მოქნილობა, არჩევანი, მარტივად მართვადი, დროის ფინანსების ეკონომია, სპეციალური საგანმანათლბლო საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობა.

უარყოფითი მხარეები: არაცოცხალი კომუნიკაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ,კერძოდ ხერხემლის გამრუდება, მხედველობის დაქვეითება, ეკრანდამოკიდებულება, დროის გაყვანა, ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი , არანაირი სოციალური ჩართულობა.

კვლევის აქტუალობა: სასწავლო აღმზრდელობით საქმიანობაში კერძოდ, ინგლი-სური ენის გაკვეთილის ეფექტურად ჩასატარებლად ციფრული ტექნოლოგიები მას-წავლებელს საშუალებას აძლევს თვისობრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მე-თოდი, განახორციელოს და მოახდინოს სასწავლო პროცესის ჰუმანიზება, ინდივი-დუალიზაცია, რათა მოღწეული იქნას სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლე-ბელი, რომელიც იყენებს ციფრული ტექნოლოგიებს პედაგოგიურ საქმიანობაში, უფრო მეტად მობილურია, მიისწრაფვის სიახლეებისკენ, ახდენს პიროვნებაზე ორიენ-ტირებულ სწავლებას, უზრუნველყოფს სასწავლო მასალის მაღალ დონეზე ვიზუ-ალიზაციას, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების მქონე პიროვნების ჩამოყა-ლიბებას.

კვლევის მიზანი: ინგლისური ენის სწავლებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკის კვლევა, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ზოგადსაგამანათებლო სკოლაში ცოდნის მიღების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სწავლების ეფექტ-ურობის და ხარისხის სრულყოფას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღ-ლებას, სასწავლო პროცესის ინფორმატიზებას, მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

კვლევის ამოცანები-ციფრული ტექნოლოგიები, როგორც დარგის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა, რეალური ვითარების გაცნობა.

კვლევის მეთოდები: სტატისტიკური ცხრილების ანალიზი, დაკვირვება, ონლაინ გამოკითხვა, ინტერნეტ რესურსების მოძიება და დახარისხება.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავ-ლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ინტერნეტ რესურსები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, პირადი ბიბლიოთეკა, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფერო: განათლების მიმარ-თულების ბაკალავრის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოქმედი პედაგოგები და მშობლები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის და 6 პარაგრა-ფისგან. რეკომენდაციების და გამოყენებული ლიტერატურისგან.

თავი I განათლების ინფორმატიზაცია

ციფრული ტექნოლოგიური სიახლეები განათლების უმთავრესი ნაწილი გახდა. 21-ე საუკუნეში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომია, ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ მობილურ მოწყობილობებს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ვუგზავნით წერილებს, ინტერნეტის მეშვეობით ვპოულობთ უამრავ საჭირო ინფორმაციას, ხოლო ამ ინფორმაციას ვუზიარებთ ერთმანეთს, მასწავლებლები და მოსწავლეები მსოფლიოს გარშემო იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში, რათა სწავლების ფორმა მეტად საინტერესო და მარტივად აღქმადი გახდეს. სწორედ ყოველდღიურმა საინფორმაციო-ტექნოლოგიების პროფესიულ საქმიანობაზე მორგებამ გახადა აუცილებელი განათლების ინფორმატიზაცია. ისტორიულ ფილოსოფიური განვითარების კვალზე მეცნიერება, ტექნოლოგია იცვლება და ვითარდება ინტელექტი, ინფორმაციის გადაცემის მეთოდები და მიდგომები.

ცივილიზაცია ეს იგივე ინფორმაციაა, ის დარგები, რაც ცივილიზაციას უშუალოდ ასახავს არის ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა და ხელოვნება, ჩამოთვლილი დარგები ცივილიზაციის ფორმებს წარმოადგენენ.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითრებებისთვის აუცილებელია განათლება, რაც უმთავრესი ნაწილია პიროვნების განვითარებისთვის, რათა არ ჩამორჩეს სხვა ქვეყნების განვითარების რიტმს. რაშიც მასწავლებლის როლი განუზომელია, კარგად გააცნობიეროს და შეისწავლოს ციფრული ტექნოლოგიების როლი, გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები, შექმნას მრავალფეროვანი რესურსი, მიზანმიმართულად გაიზიაროს თითოეული მოსწავლის გამოცდილება და შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მეტნაკლებად აღჭურ-ვილია ციფრული ტექნოლოგიებით, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი მასწავლებ-ლისთვის და არა ძირითადი საშუალება. მიუხედავად ამისა, მასწავლებლების უმეტე-სობას უჭირს მათი მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესში, რათა მოსწავ-ლეში აღძრას სწავლის სურვილი, განწყობა, ცნობისმოყვარეობა, მოტივაცია და სასწავ-ლო პროცესი გახადოს ეფექტური და შედეგიანი. კომპიუტერი ინტერნეტის გარეშე შეუძლებელია, იგი კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მიღწევად ითვლება, ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში სამხედრო პროგრა-მების გაუმჯობესების მიზნით 1969 წელს კომპიუტერული ქსელის შექმნა გახდა საჭირო, რომლის სახელწოდება ARPANET(advanced research projects agency network აბრ. არპანეტი-თანამედროვე ინტერნეტის წინამორბედი, შემუშავებული ამერიკის თავდაცვის მიერ) წარმოადგენდა. კომპიუტერულმა ქსელმა გააერთიანა სულ ოთხი კომპიუტერი, შედეგი თვალსაჩინო გახდა და მალევე მსგავს რევოლუციურ ტექნო-ლოგიას მომხმარებელი შეემატა, ჯერ ლაბორატორიები, ხოლო შემდეგში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. კომპიუტერულ ქსელში ჩაერთო უკვე ათას-ობით კომპიუტერი, ასეთ ვითარებაში სამხედრო დაცვის გარანტიას ვერავინ მისცემ-და და ARPANET ორად გაიყო. ნაწილი სამხედრო ბაზას დარჩა, ხოლო დანარჩენი საზოგადოებას გადაეცა. სწორედ ამ მომენტიდან ინტერნეტი გაჩნდა საზოგადოებაში. პირველ ეტაპზე ინტერნეტს იყენებდნენ მხოლოდ სპეციალისტები WWW-WORLD WIDE WEB მსოფლიოს ქსელური აბლაბუდა, ინფორმაციის უდიდესი წყარო გახდა 1988 წელს გამაერთიანებელი მთელი მსოფლიო ინფორმაციისა.

1990 წელს დაიწყო ინტერნეტში არსებული ვებგვერდების წარმოება-შექმნა. დღეს, ინტერნეტში არსებობს ვრცელი ინფორმაცია, რომლის სწორად გამოყენებით

და ეთიკური ნორმების დაცვით შესაძლებელი ხდება საგანმანათლებლო სივრცეში ეფექტური გაკვეთილის ჩატარების საწინდარი. რა თქმა უნდა საგანმანათლებლო სივრცეში მისი ეფექტურად და მიზანმიმართულად გამოყენება დადებით გავლენას ახდენს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის განვითარებაზე. განათლების სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ინგლისური ენის სწავლება ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. ინგლისური ენის სწავლებისას მისი დადებითი შედეგების მაქსიმალურად გაზრდა და უარყოფითის მინიმალურად შემცირება აუცილებელი პირობაა.

ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას აუცილებელია ინგლისური ენის პედაგოგებს ჩაუტარდეთ ტრენინგები, სპეციალური კურსები ინოვაციური მეთოდებისა და სტრატეგიების უკეთ შესასწავლად და გასაცნობად. ჩაერთოს ონლაინ კონფერენციებში, ფორუმში, დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო პროექტი, ინოვაციური ინგლისური გაკვე-თილი, გაიაროს ონლაინ ტრენინგი, შექმნას ელექტრონული პორტფოლიო გამოიყენოს ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის სწავლების ვებგვერდები, პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, გაზეთი, შექმნას ციფრული მულტიმედია, (ტექსტი, აუდიო-ვიდეო პრეზენტაცია) რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს შორის უკუკავშირის დამყარებას, მოახდინოს ცოდნის დისტანციური გადაცემა და შეფასება, შექმნას ელექტრონული ქვიზი, დავალება, გამოიყენოს შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი და გაუზიაროს მოსწავლეებს. ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილი მოსწავლეებს უვითარებს 21-ე საუკუნის უნარებს: ცოდნა, მოსმენა-გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრა, ანალიტიკური აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, კვლევა, ძიება, კომუნიკაცია, მედიაწიგნიერება, ციფრული წიგნიერება მეტყველების, წერის, სოციალურ-კულტურული უნარები, ლიდერობა, პასუხისმგებლობა, თვითშეფასება, თვითგამოხატვა.

ციფრული ტექნოლოგიების ვებ-გვერდები შემეცნებითი ხასიათის ვებ-გვერდებთან ერთად ინტერნეტ ქსელში შესაძლოა, ისეთი ვებ-გვერდების აღმოჩენა, რომლებიც მკაცრად ეწინააღმდეგება ადამიანის განვითარებას, ზოგიერთი მათგანი

სავსეა ძალადობის, ნარკოდამოკიდებულების, ალკოჰოლ დამოკიდებულების, პორნო-გრაფიისა და უმრავი სხვა სასტიკი და არასასურველი ინფორმაციით, რაც საზიანოა ბავშვის განვითარებისთვის.

ახალი ტიპის კომუნიკაციამ და კიბერსივრცემ გაამარტივა კომუნიკაცია, ინგლი-სური ენის სწავლების თანამედროვე და ყველაზე გავრცელებული მეთოდი მოიცავს ენის საკომუნიკაციო დონეზე შესწავლას. სრულფასოვანი კომუნიკაცია გულისხმობს ენის ლექსიკურ, გრამატიკულ და ფონეტიკურ დონეზე სწავლებას. ციფრულმა ტექნო-ლოგიებმა დააშორა ადამიანები ცოცხალ კომუნიკაციას. საკლასო ოთხში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სოციალური უნარების პასიურობას ზრდის მოსწავ-ლეებში, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის შემსწავლელ მოსწავლეებს, რომელთა-თვის ცოცხალი კომუნიკაცია, ადგილობრივ მოსაუბრესთან პირისპირო კომუნიკაცია სასიცოცხლოა, რათა დაეუფლონ სოციალურ და სხვა კულტურისთვის დამახა-სიათებელ უნარებს, თუმცა ინგლისური ენისთვის საჭირო ყველა უნარის და გარემოს ხელოვნურად შექმნას სრულფასოვან შედეგებამდე გავყავართ.

1.2. სამართლებრივი-ეთიკური ნორმები, დაწყებითი, საშუალო სკოლის მასწავლებლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

სწავლებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია სამართ-ლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვა, რომელიც დაკავშირებულია მომავალი ჯან-საღი თაობის აღზრდასთან და განვითარებასთან. ციფრული ტექნოლოგიები, მასწავ-ლებლის პროფესიული უნარები, ცოდნა და მათი სწორად ინტეგრირება სასწავლო პროცესში ეფექტური გაკვეთილის საწინდარია. დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფე-ხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული წესდების 72 მუხლის მიხედვით, მასწავლებლის კომპიუ-ტერული კომპეტენცია და უნარები, კერძოდ ეთიკა მოიცავს: ციფრული რესურსების, ინსტრუმენტების გამოყენებას ეთიკური ნორმების, უსაფრთხოების დაცვით, ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში მიღებული ეთიკური ნორმების დაცვა ციფ-რული ტექნოლოგიების გამოყენებისას, საკუთარი და სხვების მიერ შექმნილი ინფორ-მაციის დაცვა, შესაბამისი კანონმდებლობის ცოდნა, საავტორო უფლებების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების მიმართ წყაროების

და მსგავსი დოკუმენტაციის მითითება, ღია საგანმანათლებლო რესურსების ლიცენზიის გარჩევა და მათი გამოყენება საკუთარი რესურსების გამო-ყენებისას. ციფრული ტექნოლოგიებით მრავალი პრობლემების ადვილად გადაჭრა ხდება, თუმცა ამ მიზნით ხშირად არაკანონიერად აკოპირებენ, ავრცელებენ და იყენებენ. პროგრამული უზრუნველყოფის არალეგალურად კოპირება კანონის დარღვე-ვაა. ნათქვამია: საქართველოს კანონში ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ''. კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეო გრაფაზე ჩაწე-რილი ტექსტი წარმოადგენს მფლობელებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლო-ბელებს. კანონის დარღვევის გარდა, პროგრამული უზრუნველყოფის არაკანონიერი კოპირება ფინანსურ ზიანს აყენებს მის შემქმნელს.

თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით ბავშვების ეკრანთან გატარებული დრო ექვს საათს უტოლდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ეკრანებთან გატარებული დრო ფაქტობრივად გასამმაგდა.

ნეირიფსიქოლოგის, განათლების, ფსიქოლოგიის მაგისტრის მაიკო ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ერთ წლამდე ბავშვების 92% იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს ყოველდღიურად, ისიც აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების გარეშე არ არსებობს, მათი გამოყენება გარდაუვალი გახდა. ბავშვი სანამ 1,6 თვის არ გახდება არ არის რეკომენდებული ციფრული ტექნო-ლოგიების გამოყენება, ხოლო ამ დროიდან მკაცრად უნდა შეუზღუდოს მშობელმა ბავშვს ეკრანთან გატარებული დრო, ზოგჯერ სავალალო შედეგებამდე მივყავართ არამიზანმიმართულად ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ შესაძლოა: მეტყველების უნარის დაქვეითება, ყურადღების დეფიციტი, სწავლის პრობლემები, ბავშვის ფსიქიკური განვითარება, ძილის დარღვევები, აგრესია ბავშვებში, ემოციური შფოთვა. უარყოფითი მხარეების გარდა ეს, სულ არ გულისხმობს იმას, რომ ტექნოლოგიები სრულად უნდა აიკრძალოს, უბრალოდ მშობლებმა მაქსიმალურად უნდა გააკონტროლონ დრო ციფრულ ტექნოლოგიებთან.

ავტორის მიერ ცხრილში მოცმულია შეზღუდვები რომელიც მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ მცირეწლოვან და სკოლამდელ ასაკში ციფრული ტექნოლოგიის

გამოყენებისას.

ასაკი	საათების რაოდენობა დღეში (როგორც თამაშის, ისევე მეცადინეობის მიზნით)	არა ძალადობრივი შინაარსის ტელე-გადაცემები	ს/ს ხელთ-მოსახმარი მოწყობილობა (ტელეფონი, პლანშეტი, სხვ.)	ონლაინ და ვიდეო-თამაშები
0-2 წელი	0 სთ	დაუშვებელია	დაუშვებელია	დაუშვებელია
3-5 წელი	1 სთ	დასაშვებია	დაუშვებელია	დაუშვებელია
6-12 წელი	2 სთ	დასაშვებია	დაუშვებელია	დაუშვებელია
13-18 წელი	2 სთ	დასაშვებია	დასაშვებია	30 წთ დღეში

ბავშვებში ციფრული ტქნოლოგიების 30 წუთზე მეტი დროის გამოყენება ზრდის აგრესიას, იწვევს დასწავლის უნარის დაქვეითებას, ეკრანზე დამოკიდებულებას, ბავშვებს უწევთ მათ ასაკზე შეუსაბამო რეკლამების, პოსტების, ვიდეოების და მსგავსი ძალადობრივი და სექსუალურ მასალის გაცნობა, რაც მათ ფსიქიკურ გადახრას უწყობს ხელს. ონლაინ სამყაროში ბავშვი ხდება ბულინგის, პედოფილიის, ზეწოლის და ჩაგვრის ობიექტი, ვინაიდან ბავშვი კომუნიკაციას ამყარებს სრულიად უცნობ ადამიანთან, ხშირია თვითმკვლელობა და სუიციდის მცდელობები, საჭიროა მშობლებმა მეტი სიფრთხილით მოეკიდონ მსგავს ფაქტებს და მიმართონ საჭირო სამსახურებს ,აკონტროლონ ბავშვის დრო ციფრულ ტექნიკასთან, რათა თავიდან აირიდონ მოსალოდნელი ბავშვის ფსიქიკური კოლაფსი.

ზოგადსაგანმენათლებლო სკოლის მასწავლებლები უნდა იცავდნენ არა მხოლოდ სამართლბრივ და ეთიკურ ნორმებს, არამედ ფლობდნენ მასწავლებლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

ამერიკელი პედაგოგის შარლოტა დენიელსონის შეხედულებით: ,,სასწავლო გეგმა მიზანმიმართულია მოსწავლესთან დაკავშირებულ მოლოდინებზე და ასახვას ჰპოვებს სკოლის ამოცანებში, პროგრამებსა და კურსის შეთავაზებებში. სკოლის

სასწავლო გეგმაში სახელმწიფო და რეგიონული სასწავლო გეგმის სტანდარტიდან გადმოტანილია გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული დებულებები იმის შესახებ, თუ რისი სწავლა შეუძლიათ მოსწავლეებს სკოლაში.“ (გლანცი,2016:260).

სტანდარტების შესახებ მსჯელობა სასწავლო გეგმის შექმნის ანალიზის გარეშე აბსურდული ქმედებაა, ვინაიდან სასწავლო გეგმის შექმნა მიზანმიმართული, დინამიური, რთული კომპლექსია, რომლის უმთავრესი მიზანია წარმოადგენს სწავლების ხარისხის გაზრდას. პედაგოგებმა, რომლებსაც ამ პროცესის წარმართვა ევალებათ გამუდმებით უნდა ზრუნავდნენ სასწავლო გეგმის გაუმჯობესებაზე. დღევანდელ დროს, მსგავსი ჩართულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მიზნად ისახავს რეგიონალური და ადგილობრივი სტანდარტების ყურადღების ეპიცენტრში მოქცევას. მასწავლებლები სრულად უნდა აკმაყოფილებდნენ სასწავლო სტანდარტებს და ცდილობდნენ აკადემიური ხარისხის გაზრდას.

განათლებას გააჩნია ოთხი ძირითადი მამოძრავებელი ნიშანი:

- თვითრეალიზაცია - პიროვნული განვითარება, თვითშეფასების გაზრდა, ჩამოყალიბება ხასიათისა, ინტელექტუალური ზრდა, ესთეტიური ინტერესების განხორ-ციელება.
- ადამიანური ურთიერთობები - თანამშრომლობა, სხვების მიმართ პატივისცემა, ეთიკურ - მორალური მსჯელობა და სახელმწიფო ხელშეწყობა.
- ეკონომიკური აქტიურობა - განათლების მოხმარება ანუ რეალიზაცია, ფული, კარიერა.
- სამოქალაქო პასუხისმგებლობა - წესრიგისა და კანონის პატივისცემა, ტოლერანტობა, მთავრობის წინაშე დაკისრებული მოქალაქეობრივი ვალის აღსრულება და ა.შ.

შარლოტა დენიელსონის მიხედვით სასწავლო გეგმის მიზნების გადახედვა, შეიცავს შემდეგ ჩამონათვალს: ცოდნა, აზროვნების უნარი, მსჯელობის უნარი, საკომუნიკაციო უნარი, სოციალური უნარი და ფიზიკური უნარი.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის უილიამ შუბერტი სასწავლო გეგმის შესახებ განმარტავს: ,,სასწავლო გეგმის დეფინიციას აქვს წინააღმდეგობრივი საზღვრები, განსხვავებული დეფინიციები, რომ სწავლა სწავლების სტრატეგიაა, სწავლის წარმმართველი, რომელიც ზრდის მოსწავლეთა წარმატების ხარისხს, რაც

მიზანმიმართულია პედაგოგის მიერ სწავლების აკადემიური ხარისხის გაზრდისთვის“(გლანცი,2016:260).

დაწყებითი, საშუალო სკოლის მასწავლებლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით პედაგოგს უნდა ჰქონდეს უნარი გამოიყენოს სწავლებისთვის საჭირო მრავალმხრივი რესურსები და სტრატეგიები. სწავლების და სწავლის ახალი მიდგომები ყველა საგანში ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების შერჩევას სასწავლო მიზნების შესაბამისად. ყველა პედაგოგმა და მათ შორის ინგლისური ენის მასწავლებელმა უნდა შეძლოს, ინფორმაციის მოძიება, კვლევა ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით, ინფორმაციის დამუშავება, ორგანიზება, შენახვა, კარგად უნდა ესმოდეს ინფორ-მაციული ტექნოლოგიების ზეგავლენა საზოგადოებაზე და საინფორმაციო ტექნოლო-გიების სწორად გამოყენება. მასწავლებელს უნდა შეეძლოს კომპიუტერის გამორთვა-ჩართვა, გადატვირთვა, ძირითადი მოწყობილობების - თაგვის, ეკრანის, პროექტორის, კლავიატურის და სხვა მოწყობილობების მიერთება და სწორად გამოყენება. ინტერნეტის სტრუქტურა და მასში არსებული მონაცემების მიღება - გადაცემასთან არსებული მასალის ტერმინოლოგია და განსაზღვრებები ,მონაცემთა განსაზღვრის პროტოკოლები, სოციალური ქსელები და მასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კონტნტის კლასიფიკაცია ,მათი დაკავშირება ტექნიკურ სისტემასთან და თავსებადობა. ,,ნეთ ბუკის“, სხვა ციფრული ტექნოლოგიების გარჩევა. ასევე შესაბამისი ციფრული რესურსების შექმნა, როგორებიცაა აუდიო და ვიდეო ფაილები, ტექსტური მასალა, სასწავლო პორტფოლიო - ბლოგების წარმოება და შექმნა. მასწავლებლებს არ აქვთ უფლება სხვისი რესურსი- ცხრილი, თამაში, პრეზენტაცია მიითვისოს, საავტორო უფლებების დაცვის გარეშე, ინფორმაციის შედგენა და გაკვეთილის დაგეგმვა არის ურთულესი ნაწილი, თითოეული ბავშვი ინდივიდუალური არსებაა, ასე რომ მასწავლებელს უწევს უდიდესი შრომის გაწევა ელექტრონული პროდუქტის შესაქმნელად. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სჭირდება მიზნის განსაზღვრა და დროის ზუსტი შერჩევა, არამიზნობრივად გამოყენება შესაძლოა იყოს სავალალო შედეგების მომტანი. ინგლისური ენის მასწავლებელმა უნდა შეძლოს საკომუნიკაციო საშუალებების სწორად შერჩევა ,მათ შორის მობილური

საშუალებების, ელექტრონული ფოსტის ,ინტერნეტ - ფორუმების, საკომუნიკაციო უნარების სწორად ფლობა მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაცია. მასწავლებელმა ციფრული ტექნოლოგიები უნდა გამოყენოს: ინფორმაციის მოსაძიებლად, ახალი სასწავლო რესურსის შესაქმნელად, ინფორმაციის ორგანიზებისთვის, შენახვისთვის, რათა გამიზნული ჰქონდეს ეფექტური გაკვეთილის ჩატარება. რაც მოსწავლეებს განუვითარებს ინგლისური ენის შესასწავლად აუცილებელ ცოდნასა და უნარებს : მოსმენა, წერა ,კითხვა და საუბარი.

დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული წესდების 73 მუხლის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა ტექნოლოგიების გამოყენებით მოიცავს : ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით სასწავლო მიზნების მიხედვით სასწავლო პროცესის შდეგის განსაზღვრას,სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლეზე ორიენტირებული ცოდნის მიღების და ციფრული ტექნოლოგიების უნარების გამომუშავება-განვიარების საფუძველზე,საგანთშორისი კავშირების დამყარება . ინგლისური ენის მასწავლებელი უნდა ფლობდს ელექტრონული სწავლების ძირითად პრინციპებს და მეთოდებს , 1-1 ზე კომპიუტერული სწავლების მეთოდების ფლობა , ციფრული ტექნოლოგიებით სწავლების წარმართვა.მასწავლებელს საგნობრივი ცოდნის გადმოცემის საკუთარის სტილი უნდა გააჩნდეს, თუმცა ციფრული ტექნოლოგიების მიერ შექმნილი უამრავი სიმულაციები და თამაშები ხელს უწყობს მასწავლებლებს მიაღწიონ დასახულ მიზნებს. განსაკუთრებით უცხო ენის შესასწავლად მოსმენითი დავალებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურია, მათი ყურის მიერ აღქმული ტექსტი, ჯერ გონებაში გაივლის და უფრო ამარტივებს სასაუბრო უნარის ჩამოყალიბებას. უცხოური ენის ეფექტური გაკვეთილი, ზოგადად საგანმანათლებო პროცესში სწავ-ლება ესადაგება სტანდარტებს. სტანდარტი ნიშნავს იმ უნარებს და იმ მეთოდების გამოყენებას, რასაც მასწავლებელი უნდა ფლობდეს. ასევე იმ შემოქმედებით ნიჭს, რაც გაკვეთილზე უნდა გამოამჟღავნოს პედაგოგმა. დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფე-ხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული წესდების 74 მუხლის მიხედვით, ინგლისური ენის მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლის შეფასება ციფრული ტექნოლოგიების

მეშვეობით , მარტივი ტესტური დავალებების და ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება მოსწავლის შეფასებისთვის. მასწავლებელმა უნდა შეძლოს სწავლების შედეგების დამოუკიდებლად ხელშეწყობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ეთიკის ნორმების და სტანდარტების დაცვა აღწევს შედეგს ეფექტური გაკვეთილის ჩასატარებლად.

1.2. პედაგოგიკის კლასიკოსების შეხედულებები თვალსაჩინოების მეთოდზე

სასწავლო პროცესში თვალსაჩინოებების როლი ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებდა და პედაგოგიკის კლასიკოსების ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა. ერთ-ერთ დიდაქტიკურ პრინციპად ბავშვთა სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას მიიჩნვდნენ, სწავლებისთვის დამახასიათებელი ვიზუალიზაცია თავდაპირველად ანტიკურ ეპოქაში არისტოტელეს უკავშირდება ბავშვის განვითარების განსხვავებულ ეტაპზე, ბავშვს აზროვნების ფორმაც განსხვავებული აქვს, დაწყებითი კლასის ბავშვებს უადვილდებათ ვიზუალურად ინფორმაციის აღქმა, ისინი საგნებთან უშუალო ურთიერთქმედებით გამოცდილებას აგროვებენ, დომინანტი კი ხდება ცოდნის მოქმედებითი გამოხატულება.

ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი და გამოჩენილი მწერალი იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ ბავშვს სჭირდება კონკრეტული ცოდნა, რასაც პირდა-პირი კავშირი ექნება ცხოვრებასთან, ბავშვის გონება გარკვეული ცოდნით უნდა გამდიდრდეს, მიზეზად ამისა თვალსაჩინოებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა .

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ჯერ საგანი, შემდეგ კი სახელწოდება, ჯერ მხედველობითი შთაბეჭდილება, შემდეგ კი სმენითი, თუ ვერ უჩვენებთ ბავშვს საგანს, მაშინ მას ნახატი უჩვენეთ“ (ხალვაში,2020:10).

ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ფუძემდებელი ქართველი ერის მამა ილია ჭავჭავაძე, თვლიდა რომ, სკოლაში ბავშვი უნდა იზრდებოდეს გონებრივად, ზნით, ხასიათით სულითა და ხორცით. ილიას აზრით, არ არსებობს ქვეყნის წინსვლა ფართო გონებრივი განათლების გარეშე. ის თვლიდა, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს თვალსაჩინოებაზე დაყრდნობითი ცოდნა, სამეცნიერო ცოდნის ირგვლივ ბავშვს უნდა გააჩნდეს დაკვირვებისა და აზროვნების უნარი სკოლაში, დაგროვილი საკაცობრიო ცოდნა ბრმად არ უნდა შეიმეცნონ ბავშვებმა, პირიქით კარგად უნდა

დაამუშაონ და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. როდესაც აღქმით სწავლებაზე ვსაუბრობთ. იტალიელი პედაგოგიკის კლასიკოსის მარია მონტესორის ნააზრევმა უშუალოდ დიდ გავლენას მოახდინა პედაგოგებისა და ფსიქოლოგების თეორიებზე.

მარია მონტესორი ამბობს: ,,ჯერ გავანათლოთ გრძნობადი, შემდეგ კი ინტელექტი“ (ხალვაში,2020:11), იგი თვითრეალიზაციას დამოუკიდებელ აქტივობაზე დაყრდნობით აქცევდა დიდ ყურადღებას, ის ბავშვებს სენსორულ მკვლევარებად მოიაზრებდა, ამისთვის კი სათანადო პირობებს ქმნიდა, ბავშვები შეგრძნებებზე სწავლობდნენ.

ჩეხი პედაგოგიკის კლასიკოსი იან ამოს კომენსკი ფუნდამენტურ ნაშრომში ,,დიდი დიდაქტიკა'', თვლიდა, რომ სწავლის ყოველი საფუძველი უნდა ვეძიოთ ბუნებაში არსებულ საგნებში, სწორდ რომ ჭეშმარიტი ცოდნა რეალობაში არსებულ საგნებში უნდა ჰპოვოს. სწავლება უნდა იწყებოდეს საგნებზე რეალურად დაკვირვებით და არა საგნების სიტყვიერად განმარტებით. კომენსკის აზრით: ,,გონებაში არაფერია ისეთი, რაც კი შეგრძნებებში არ ყოფილაო'' (ხალვაში, 2020:6).

იან ამოს კომენსკის სახელს უკავშირდება პირველი დასურათებული სახელმძღვანელო ბავშვთათვის - orbis sensualium pictus - რაც ითარგმნება ხილული სამყარო სურათებში, 1658 წელს გამოაქვეყნა დიდმა პედაგოგმა, ბრიტანიკის ენციკლოპედიის მიხედვით 150 სურათს იტევს, წიგნის ილუსტრაციები ცხოვრებისეულ ყოველდღიურ საქმიანობას ასახავს, რაც დღევანდელი საბავშვო ლიტერატურის წინამორბედია. კომენსკი მხარს უჭერდა ნივთიერი და საგნობრივი მასალით სწავლებას, მისი შეხედულებები გაიზიარეს სხვა დიდმა პედაგოგებმა, რუსომ, ჰესტალოციმ, ლოკმა და სხვ.

ჟან-ჟაკ რუსო თვლიდა, რომ ბავშვი სწავლობს საკუთარი შეგრძნების ხარჯზე, როდესაც ის იკვლევს გარესამყაროს რეალურ მოვლენებს. იგი ემპირიზმს ემხრობოდა და ამ გზით სწავლას ყველაზე საუკეთესო გზად მიიჩნევდა, გონებას კვებავს გრძნობადი აღქმა. ფილოსოფიას ვსწავლობთ ჩვენი თვალებით, ხელებით და ფეხებით. რუსოს აზრით აღქმაზე და შეგრძნებებზე დაყრდნობითი სწავლება განავითარებდა დამოუკიდებლად ფიქრის აზროვნების უნარს.

ჯონ ლოკი ბავშვებში ინტერესის გასაღვივებლად უპირატესობას გრძნობად აღქმას ანიჭებდა. იგი თავისუფალი აზროვნების განვითარებას და კვლევას უჭერდა მხარს, მისთვის პრაქტიკა უმნიშვნელოვანესი იყო, ბავშვები უკეთ სწავლობენ, როდე-

საც უშუალოდ არიან ჩართულები სწავლების პროცესში, ყოველი ცოდნის საწყისი ეს არის გამოცდილება, მიიჩნევდა რომ ბავშვებმა უნდა მართონ მათი ინტერესები და სწავლა მათი სურვილისამებრ უნდა მიმდინარეობდეს.

აღორძინების ხანის ფრანგი ფილოსოფოსი და ჰუმანისტი მწერალი მიშელ მონტენი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალადობისა სწავლა-აღზრდის პროცესში, იგი წერდა: ,,თამაში და ვარჯიშიც კი სწავლების განუყოფელ და საკამოდ მნიშვნელოვან ნაწილად გადაიქცევა: მე მხედველობაში მაქვს სირბილი, ჭიდაობა, მუსიკა, ცეკვა, ნადირობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა'' (პედაგოგიკის ისტორია, თბილისი 1988:56).

რუსი პედაგოგიკის კლასიკოსი კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკის იდეები, შეხედულებები ვითარდებოდა იდეალიზმიდან მატერიალისზმისკენ და მასში იგრძნობოდა მძლავრი მატერიალისტური ნაკადი. იგი მატერიალისტურ ელემენტებს ავითარებს ბუნების მოვლენათა გაგებაში, რომ მატერიალისტური სამყარო არსებობს გონებისგან დამოუკიდებლად და ცნობიერება არის ობიექტური სინამდვილის ასახვა ადამიანთა გონებაში. უშინსკი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,ადამიანი როგორც აღზრდის საგანი'', უშინსკი ამბობს- „პედაგოგიკა უნდა მივაკუთვნოთ რთულ ხელოვნებათა დარგს, რადგან იგი ყველაზე ურთულესი ხელოვნებაა'' (პედაგოგიკის ისტორია, თბილისი 1988:224).

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უნდა გადაიქცეს მეგობრულ სახლად, რომელშიც თითოეული მოსწავლე საკუთარ წილ სამყაროს შემოიტანს. ყოველთვის ვერ იქნები ის ადამიანი, რომელიც მასწავლებლის როლიდან გამოდის და ხდება ის პიროვნება, რომელიც იმათგან სწავლობს, ვისაც ასწავლის.

ტექნოლოგიურმა საუკუნემ უცხოური ენის შესწავლაში დიდი როლი ითამაშა, კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებაში, ავთენტური მასალის ხელმისაწვდომობაში და ა.შ.

ინტერაქტიული ანუ თანამდროვე სწავლება თვალსაჩინოების გარეშე ვერ იარ-სებებს. თვალსაჩინოებაზე აქცენტირება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების უმთავრესი გამოძახილია, სწავლება ელექტრონული პრინციპით, დამხმარე ინსტრუ-მენტია ტრადიციული სწავლების.

სწავლების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებას, რომლებიც მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება, სწორად უპასუხებს სასწავლო

საგანს და საგნის ამოცანებს, რაც გაზრდის მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებას,

თავი II ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილზე

კეროლ ბეგლის აზრით: ,,ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეები აკეთებდნენ მეტს, ვიდრე უყურებდნენ სამყაროს ტელევიზორის ეკრანიდან. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ბავშვები იძლეოდნენ კითხვებს, ერთმანეთს უზიარებდნენ, ატარებდნენ ერთობლივ კვლევებს. ჩვენ გვინდა, რომ ისინი პლანეტა დედამიწის მასშტაბით ერკვეოდნენ კულტურაში, გეოგრაფიაში, პოლიტიკაში, ისტორიაში და მეცნიერებაში. ტელეკომუნიკაცია სწავლის პროცესის ძლიერი საშუალებაა'' (ჯინჯიხაძე , 2012:266).

უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა რთული, კომპლექსური მექანიზმია, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, იგი აერთიანებს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სოციოლოგია, აღნიშნულ დისციპლინებზე დაყრდნობით განისაზღვრება უცხოური ენის დაუფლებით მეთოდიკის განსაზღვრა. თანამდროვე სწავლებაში მეთოდზე უფრო სიტყვა - მიდგომას იყენებენ, რაც პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას მეტად ინდივიდუალური და შემოქმედებითი იყოს სწავლების პროცესში.

თანამედროვე ეპოქაში უცხოური ენის სწავლება ციფრული ტექნოლოგიების ხელშეწყობის გარეში წარმოუდგენელია, ციფრული ტექნოლოგიები სწავლების განუყოფელ ნაწილად იქცა. რაც უადვილებს მოსწავლეს გაკვეთილზე ჩართულობას , ეხმარება თვითგამოხატვის გამარტივებაში, ცოდნის სწრაფად მოძიებაში, უცხოური ენის შესწავლაში, ვინაიდან ისწავლო უცხოური ენა, როგორ მეორე ენა აუცილებელია ხელოვნური გარემოს შექმნა. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ციფრული ტექნოლოგიები და ელექტრონული მოწყობილობა დაკავშირებულია კომპიუტერთან, რაც უდიდეს როლს თამაშს სასწავლო პროცსის ეფექტურად წარმართვაში.

ტრადიციული სწავლებისას შეუცვლელი იყო ცოცხალი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, შავი, თეთრი დაფა მოსახერხებელი ინსტრუმენტები იყო, ხოლო მასწავლებელი წარმმართველი საგაკვეთილო პროცესის, ციფრულმა რევოლუციამ კი თავდაყირა დააყენა საგანმანათლებლო სივრცე, კონკურენცია გაუწია ტრადიციულ სწავლებას, მასწავლებელი დაეკისრა

ფასილიტატორის, გეზის მიმცემის ფუნქცია, ხოლო საგაკვეთილო პროცესი გახდა ეფექტური, კონსტრუქტივისტული.

განათლების სისტემაში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ,გამოიწვია ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა და ინტეგრირება. ადამიანთა მუდმივ სენსორულ შეგრძნებას შორის ყველაზე უფრო განვითარებული მხედველობას აქვს, დღევანდელ ეპოქაში ინფორმაციის ძირითადი ნაწილი შემოდის მხედველობის სახით. ციფრული ტექნო-ლოგიები, არა წარმმართველი არამედ დამხმარე საშუალებად ანუ შუამავლად მოგვევლინა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. მეორე უცხოური ენა რომ ისწავლოს ადამიანმა სჭირდება ხანგძლივი და რთული პროცესის გავლა. ვინაიდან ეს რთული პროცესია. მოსწავლეს მოეთხოვება მაღალი მოტივაცია, ძლიერი სურვილი, თავისუფალი ნება, ენთუზიაზმი, დრო, ენერგია და ა.შ.

ეროვნულ სასწავლო გეგმის ავტორთა და მასწავლებელთა უმთავრეს ამოცანას გაკვეთილის გამრავალფეროვნება, გაადვილება, სწავლის პროცესის გამდიდრება წარმოადგენ,რათა შეუქმნას მოსწავლეს ბუნებრივი სასწავლო გარემო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე მოსწავლე, ფაქტობრივად იცნობს ციფრულ ტექნოლოგიებს რაც მისთვის ნაცნობი და მოსახერხებელია, ამიტომ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში მეტად აადვილებს მარტივად სწავლის უნარს და კომფორტულ გარემოს უქმნის მოსწავლეს.

ბოლო ათწლეულში, ენის სწავლების შემეცნებითი (კოგნიტური) და სოციოკოგნიტური მეთოდის განვითარებამ, ასევე ტექნოლოგიების ჩარევამ საგაკვეთილო პროცესში ფაქტობრივად შესაძლებელი გახადა დუალური და უფრო ხშირ რიგ შემთხვევებში მრავალმხრივი ინტერაქციის მეთოდი გამხდარიყო მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის საკლასო ოთახს და სასწავლო მასალებს შორის. ზოგადად, მიდგომა ციფრულ ტექნოლოგიებს და სასწავლო პროცესს შორის ასეთია, მათი გამოყენება არ წარმოადგენს თვითმიზანს, ტექნიკური მხარდაჭერა ეს საუკეთესო პირობაა, გაკვეთილის წარმატებით ჩასატარებლად, თუმცა მასწავლებელი მაინც აუცილებელია, რათა სწავლების სტრატეგია სწორად იყოს შერჩეული.

სივრცითი სასწავლო საშუალებების ჩვენებას ეწოდება დემონსტრაცია, ხოლო ფოტოსურათების, პლაკატების პოსტერების, დიაგრამების, ტაბულების გამოყენებას სასწავლო პროცესში ილუსტრირების მეთოდი.

ვიზუალური მასალის გამოყენებისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ თვალთ კარგად აღქმადია მასალა ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი ზღვარი გავითვალისწინოთ, ვიფიქროთ თუ როგორ გამოვიყენოთ რესურსები მიზანმიმართულად, ვაკვირდებით სამიზნე ჯგუფს, სასწავლო გეგმას და ამოცანებს, როგორ დაეხმარება სასწავლო რესურსი ენის შესწავლას, სასწავლო რესურსი ქვევით ჩამოთვლილ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- არ შეაშინოს, დააფრთხოს და არ მოახდინოს მოსწავლეზე ზეწოლა;
- რესურსის გამოყენება უნდა იყოს ხელშემწყობი მოსწავლის თვითდაჯერების და რწმენის, მოსწავლემ უნდა შეძლოს აქტივობების დაძლევა;
- რესურსი უნდა იძლეოდეს სწავლის პროგრესს, მოსწავლე თავად უნდა იყოს ამაზე პასუხისმგებელი;
- რესურსის გამოყენების მეთოდი უნდა ითვალისწინებდეს რომ სწავლის პროცესი უნდა იყოს ეტაპობრივი.

ციფრული ტექნოლოგია ხელს უწყობს მასალის ვიზუალიზაციას, რომლის ძირითადი მიზანია დემონსტრირება, რათა საგაკვეთილო თემა ადვილად აღქმადი გახდეს. ვიზუალური მასალა შეიძლება იყოს: ბუნების ობიექტი, როდესაც გასეირნების ან ექსკურსიის დროს იხილავენ მოსწავლეები.

არის განსაკუთრებულად შექმნილი ხელოვნური საშუალებები - პლაკატები, პოსტერები, ფოტოსურათები, გრაფიკული ცხრილები, სქემები, ნახატები.

სიმბოლური საშუალები - რუკები.

მოდელები - სხვადასხვა ხელსაწყოები: აპარატები.

ეკრანის საშუალებები - დიაფილმი, კინოფილმი, დიაპოზიტივი და სხვანი.

აუდიოვიზუალური ხერხები- აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

ჩვეულებრივ ვიზუალური სწავლების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: დემონსტრაცია და ილუსტრაცია.

ინგლისური ენის მასწავლებელმა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს გააცნობიერონ , რომ აკადემიური წერის უნარ - ჩვევა ტექსტებზე მუშაობით , გონებრივი იერიშით, თანატოლებს შორის დისკუსიით და შესწორებების საფუძველზე ვითარდება . ყველა

მოსწავლეს რომ გააჩნდეს საკუთარი ნოუთბუქი ასე დავგეგმავდი სასწავლო პროცესს ციფრული ტექნოლოგიების ხელშეწყობით : გაკვეთილის დასაწყისში ყველა მოსწავლე ჩართავდა ნოუთბუქს , მოსწავლეები დაიკავებენ ადგილს , დაფაზე ჩამოწერილ ვარიანტებს შეარჩევენდნენ და წერას შეუდგებიანენ.რამდენიმე წუთის შემდეგ შესრულებულ ნამუშევარს ერთმანეთს გამოუგზავნიდნენ შემდეგ განიხილავდნენ ,რითაც ისინი მიაწვდიდნენ უკუკავშირს. წერითი დავალების განხილვის შემდეგ,მოსწავლეებს დავალებდი თანამედროვე ავტორების მოთხრობების მოძიებასა და წაკითხვას , საკუთარი მოთხრობის "my tale" შექმნას ,საუკეთესო ნამუშევრის ავტორი სემესტრის ბოლოს დასაჩუქრდებოდა. კედლის გაზეთში გამოქვეყნდებოდა მის მიერ შესრულებული მოთხრობა, კითხვების შემთხვევაში მოსწავლეებს ელ ფოსტით დავუკავშირდებოდი. კლასში შესაძლოა მოსწავლე გაკვეთილებს აცდენდეს, დავუკავშირდებოდი მოსწავლის მშობელს, გამოვკითხავდი მოსწავლის მდგომარეობას და მივცემდი დავალებას, რომელსაც არ დასწრების შემთხვევაში გავასწორებდი სოციალური ქსელის დახმარებით.

2.1 ციფრული ტექნოლოგიების როლი ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარებაში

20-ე საუკუნის 60-70 -იან წლებში სამეცნიერო სივრცეში გამოჩნდა კომპე-ტენციის კატეგორია, ამავე პერიოდიდან დაიწყო ენობრივი კომპეტენციების კვლევა, ხოლო 1970 – 90-იანი წლებიდან საძირკველი ჩაეყარა უცხოური ენის სწავლების კომპეტენციების ცნების გამოყენებას ენსი დაუფლებაში. იწყება არა მარტო კომპეტენციების კვლევა, არამედ სწავლების პროცესების დაგეგმვა კომპეტენციების დახმარებით. ისტორიულ ჭრილში დაიწყო აუცილებელი კომპეტენციების შესწავლა შემუშავება, 1990 წელს ევროპის საბჭომ განსაზღვრა სოციოლინგვისტური, სტრატეგიული ენობრივი სასწავლო კომპეტენციები უცხოური ენის ფლობის მთავარ პირობად, ენის ზოგადი კომპეტენციები შედგება მრავალმხრივი კომპლექსისგან, რომელიც აუცილებელია პიროვნების განვითარებისთვის, სოციალური ინტეგრირებისა და დასაქმებისთვის.

ლინგვისტური კომპეტენცია ნიშნავს ენის სისტემის უცხოენოვანი კომუნიკაციის პროცესში მოქმედი წესების ცოდნას, მოიცავს გრამატიკულ

კატეგორიებს - სწორად წინადადების აგება, ხოლო კომუნიკაციური კომპეტენცია ეს იგივეა, რაც კონტაქტის დამყარება, სოციალურ სიტუაციაში ადეკვატური მოქმედება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, უცხოური ენის ზეპირსიტყვიერად ფლობა. კომუნიკაციის კომპეტენციაში გამოყოფენ:

ლინგვისტურ - ლექსიკა, გრამატიკა, ორთოგრაფია, ფონეტიკა;

დისკურსული - წერილობითი და ზეპირი ტექსტების შედგენა;

პრაგმატული - კომუნიკაციის წარმატებით დამყარება;

სტრატეგიული - ვერბალური და არავერბალური საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება.

უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე მოსწავ-ლის პრიორიტეტებს წარმოადგენს: პრულინგვური კომპეტენცია, განუვითარდეს სამეტყველო უნარები-წერა, მოსმენა, კითხვა, საუბარი. გამოუმუშავდეს სხვა კულ-ტურის მატარებლებთან კომუნიკაციის უნარი, გააცნობიეროს უცხოური ენა, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება, განუვითარდეს ენების ეფექტურად სწავლის უნარი, გამომდინარე ენობრივი კომპეტენციებიდან კონკრეტუ-ლი ამოცანის გადასაჭრელად სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენაა აუცილებელი, ესენია: გრამატიკული, ლექსიკური, მართლწერისა და მართლმეტყველების საბაზისო ნორმები, უცხოენოვანი კულტურის გაცნობა, წერის, კითხვის, მოსმენის და ლაპარაკის ცოდნა.

ლინგვისტურ ენობრივი კომპეტენციების მოკლე მიმოხილვა:

წერა - წერა კომუნიკაციის არავერბალური ფორმაა. წერის პროცესი მოითხოვს ავტორისგან ენის კომპეტენციების ცოდნას და მის გამოყენებას. წერის პროცესი სასი-ცოცხლო გარემოში განუყოფელი ნაწილია იქნება ეს ელექტრონული წერილი, სოციალურ ქსელში მიმოწერა, საყიდლების სია, ესეები და ა.შ. თანამედროვე სამყა-როში წერისთვის გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები: კომპიუტერი, კლავიატურა, მობილური ტელეფონი, პლანშეტი, აიპადი, ძირითადად ყველასათვის ცნობილი ლათინური შრიფტით, სხვა ენობრივ და ციფრულ რესურსებს და დამწერლობას სჭირდება საჭირო აპლიკაციების ცოდნა და ნაწერის შინაარსი ავტორზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ტექსტს შექმნის, გასათვალისწინებელია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის სწორად ცოდნა, გამოყენება წერილობით ტექსტის

შესაქმნელად. ეს თავისთავად ეხმარება მეორე უცხოური ენის შესწავლის პროცესში დაეხმაროს ორთოგრაფიის შესწავლაში.

კითხვა - ეს არის უმთავრესი უნარი, რაც სხვა უნარების განვითარებას ემსახურება. ელექტრონულ ხელსაწყოებს ხელი შეუძლიათ შეუწყონ მოსწავლეს კითხვის უნარის განვითარებაში. კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად აუცილებლად უნდა შეირჩეს მრავალფეროვანი ტექსტი. ტექსტი უნდა ფარავდეს ყველა სამეტყველო სტილს. ციფრული ტექნოლოგიების და ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება განუსაზღვრელი მასალის მოპოვება, ამაში იგულისხმება უამრავი სხვადასხვა სახის ტექსტუალური მასალა, ავთენტური მასალა, ლექსიკონები და ა.შ. მოსწავლეს უნდა მივაწოდოთ ისეთი მასალა, რაც წარმოდგენილი იქნება ტელეგადაცემებიდან, რადიოპროგრამიდან, სპექტაკლიდან და საერთო ყოფითი გარემოდან, რა გარემოშიც მოსწავლეს უწევს ცხოვრება.

ეროვნული სასწავლო გეგმის სრულად დაცვა და საკლასო ცხოვრებაზე მორგება თავისთავად კარგია, თუმცა მოსწავლის ყოველდღიური სასაუბრო ენის შესწავლა ფაქტობრივად წარმოუდგენელია, ამგვარად აუცილებელია მოსწავლეს მივაწოდოთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალაზე უფრო მეტი ინფორმაცია, რათა ამაღლდეს ცოდნის დონე და მოხდეს ენის ათვისება.

როდესაც მოსწავლეს ვაწვდით ტექსტს, უნდა შედგებოდეს სალიტერატურო ენისა და სასაუბრო მასალისგან,

მოსმენა - ვერბალური კომუნიკაციის პროცესში მოსმენას ერთ-ერთი და უმთავრესი როლი აკისრია. ძალიან დიდი ხნის მანძილზე მოსმენას არც თუ ისე სახარბიელოდ ეჭირა მეორეხარისხოვანი როლი ენის შესწავლის პროცესში. მოსმენა იმ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა: სასაუბრო ენის გაგება, როდესაც მოსწავლე აკადემიურ, ნორმირებულ ენას სწავლობს, მას უჭირს სასაუბრო ენის სწორად გაგება ენის თავისებურებიდან გამომდინარე .

ენაში ხშირია შემოკლებები, სლენგი, დიალექტი, ჟარგონი, სპეციფიკური გამოთქმები, რაც აფერხებს სასაუბრო ენის გაგებინებას. ინგლისური ენის სწავლისას მოსწავლეს წარმოთქმა რომ გაუადვილდეს და არ შეუფერხდეს კომუნიკაცია უცხოელთან საუბრისას, ინგლისური ენის მასწავლებლები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ, უცხოელის საუბრის მოსმენა და იმიტაცია, აუდიო - ჩანაწერის პოემის, ზღაპრის, მუსიკის, ფრაზების მოსმენა და გამეორება. სამი ნაწილისგან შედგენა

მოსმენა: პირველად ასმენინებს აუდიო მასალას, მეორედ ტექსტში არსებულ უცხო სიტყვებს იმახსოვრებენ და ციფრული ტექნოლოგიის გაოყენებით იძიებენ, საბოლოო რაც ტექსტის სრულად ცოდნა- გაგებას ემსახურება.

საუბარი - საუბრის ვარჯიში განსხვავდება ორალური კომუნიკაციისგან, სკოლის პედაგოგი ცდილობს საუბრის უნარს დააუფლოს მოსწავლე, ხოლო ორალური კომუნიკაცია უშუალოდ კომუნიკაციის დამყარებას ემსახურება. საუბრის უნარის განვითარება გულისხმობს მოსწავლისთვის კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარებაში.

ლაპარაკში ვარჯიში ერთი კითხვის დასმას გულისხმობს, ხოლო ვერბალური კომუნიკაცია ეხმარება რეალური პრობლემატიკის გამკლავებაში.

პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში დიალოგების ხმამაღალი კითხვა ან სხვა სავარჯიშოების ხმამაღლა კითხვა ეხმარება სასაუბრო უნარის შესწავლაში მოსწავლეს, თუმცა ბოლომდე ვერ ჭრის ამ პრობლემას .

ლექსიკა - ლექსიკური ერთეულების გარეშე ენაზე დაუფლება წარმოუდგენელია, ლექსიკურ მარაგზეა დამოკიდებული წერის, კითხვის, საუბრის დაუფლება. ლექსიკური ერთეულების გარეშე ენის ვერბალური გამოყენება შეუძლებელია, ინგლისური ენა სემიოტიკური ენაა, ენაში არსებულ სიტყვებს ზოგჯერ ორზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ უნდა მოხდეს ენის კონტექსტური სწავლება გარკვეული შედეგების მისაღებად. ლექსიკის სწავლება არ გულისხმობს ერთი ენიდან მეორე ენაზე მექანიკურად თარგმნას, იგი რთული კომპლექსია, ციფრული ტექნოლოგიები კი ქმნის ატმოსფეროს, სადაც ენის შემსწავლელს ძალიან ხშირად ხდება ერთი და იგივე სიტყვის აუცილებელი გამეორება. ელექტრონული არხებით ენობრივი კომპეტენციების თითქმის ყველა პირობას ასრულებს (წერა, კითხვა, საუბარი.) ენამ რომ შეასრულოს თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია საჭიროა კომუნიკაციის დამყარება. საბაზისო ლექსიკის ცოდნა და სწორად გამოყენება.

ლექსიკის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ენიდან მეორე ენაში სიტყვების მექანიკურ დამახსოვრებას და თარგმნას. ლექსიკა მეტად მრავალმხრივია დასწავლის პროცესში, ინგლისური ენა პოლისემიური ენაა და ერთ სიტყვას ორზე მეტი მნიშვნელობა აქვს,

დღეს მედია საშუალებები ქმნის იმ ატმოსფეროს სადაც, ენის შემსწავლელს აქვს მრავალმხრივი პლატფორმა, მას შეუძლია მოისმინოს ენა და შეძლოს სიტყვების სწავლა კონტექსტუალურად. ასევე აქვს ინტერაქციის შესაძლებლობა სოციალურ ქსელში, ბლოგებში და კომენტარების ველში საკუთარი აზრის დაფიქსირება. სწავლების ეს პროცესი ხდება ნებაყოფლობით და ხელს უწყობს თვითშემეცნებას, ვინაიდან შემსწავლელი თავად ირჩევს გარემოს და თემას.ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ინგლისური ენის შესასწავლად მნიშვნელოვანი როლი აკისრია ციფრულ ტექნოლოგიებს, არსებობს უამრავი უფასო ელექტრონული ლექსიკონები, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას აითვისოს ენა და გადალახოს ენობრივი სირთულე.

გრამატიკა- ინგლისელი მეცნიერი და ღვთისმეტყველი დევიდ ვილკეს აზრით: „გრამატიკის გარეშე ძალიან ცოტა რამის გამოხატვაა შესაძლებელი, მაგრამ ლექსიკის გარეშე არაფრის გადმოცემა არ არის შესაძლებელი“ (გოჩიტაშილი, 2014: 28).

გრამატიკის შესწავლა უცხოური ენის პროცესში სცდება ჩვეულ ჩარჩოს, რასაც გრამატიკას მოიაზრებს, როგორც ტრადიციულად დამკვიდრებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ის სწავლობს როგორ ქმნიან სიტყვები და მათი კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებით წინადადებას;

წესები, რომელთა მიხედვითაც სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება და წარმო-იქმნება ეწოდება ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგი, რომელიც სწავლობს სინტაქსს, მორფოლოგიას და სემანტიკას.

გრამატიკის უცხოური ენის სწავლების პროცესში ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსწავლეს დაეხმაროს კომუნიკაციური ამოცანების შესრულებაში, ენობრივი რეგისტრის სწორად შერჩევაში, სამეტყველო ამოცანის შესაბამისი სტილის გამოყენებაში, მიზნის შესაბამისი ენობრივი რეპერტუარის სწორად შერჩევასა და რეალიზაციაში. სასწავლო კურსის ფარგლებში და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალით ამოცანების გადაჭრა ფაქტობრივად შეუძლებელია, რომ კურსის ან თვით შესწავლის ფარგლებში გამოყენებულ ელექტრონულ კომუნიკაციურ საშუალებებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი დაკისრებული.

პედაგოგიური ტექსტი - საზოგადოდ ტერმინი ‘’პედაგოგიური ტექსტი’’ თავდა-პირველად გამოყენებული იქნა 1980- იან წლებში. პედაგოგიური ტექსტის უმთავრესი დანიშნულება არის სწავლება, პირველ რიგში, აუცილებელია

მოსწავლისთვის ტექსტი უნდა იწვევდეს მოტივაციას გაზრდის, იყოს მრავალ ფუნქციური და ინფორმაციული.

პედაგოგიური ტექსტი უნდა იყოს შედგენილი პედაგოგიური მოთხოვნილებების შესაბამისად, სასწავლო ამოცანების მიზნის მისაღწევს ტექსტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად ტექსტის სტილი, სასაუბრო ენა სწორად უნდა გამოხატავდეს სათქმელს.

20 საუკუნის 80-იან წლებში სასწავლო პროცესში გაჩნდა ტექსტები სასკოლო სახელმძღვანელოებში. ასევე გაზეთებში, ჟურნალებში, ეს ტექსტუალური ფორმა სწავლების უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ამ უკანასკნელი სამი ათწლე-ულის მანძილზე სწავლებამ განიცადა რიგითი ცვლილებები და მოსწავლეთა აკადემიური ბუნებაც შეცვალა. შეიქმნა თანამედროვე ტექსტის მრავალი სახეობა ,როგორიცაა: ინტერნეტით მოძიებული, ნაკლებად შესაბამისი ტექსტები, დინამიური შეტყობინებები, გაგების აუცილებლობაც, რამაც განაპირობა საგანმანათლებლო სისტემაში ინფორმაციული -საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

ინგლისური ენის სწავლბაში არსანიშნავია მედია კომუნიკაციის ტიპები, რითაც ხდება, ამბის გადაცმა და კატეგორიზაცია:

- კომპიუტერი, პრეზენტაცია, ინტერნეტ ინფორმაციები:
- ბგერითი და ვიზუალური მედია, ესენია: რადიო, ვიდეო, ტელევიზია და ა.შ.
- ბეჭდური მედია - დასურათებული წიგნი, ჟურნალი, საინფორმაციო წიგნი .

დისტანციური სწავლის ფარგლებში გამოყენებულია თვითნასწავლი ტექსტები, რაც პიროვნების შესაძლებლობიდან გამომდინარე აძლევს ინდივიდს შესაძლებლობას თავად დაგეგმოს და შეაფასოს შეასწავლი მასალის ინტენსივობა.

რუსი პედაგოგის ალა ბაბაილოვას აზრით: ‘‘სასწავლო ტექსტი ეს არის ტექსტუალური აქტივობის ,სწავლების, სასწავლო ტექსტობრივი კომუნიკაციის ერთეული. შინაარსობრივი, ენობრივი, კომპოზიციური მიმართულებით ,დიდაქტიკური მიზნებისთვის ორგანიზებული. განსაზღვრული ჯგუფის ადამიანებს უყალიბდებათ სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები“ (მჟავანაძე, 2013:31).

მულტიმოდალურ ნაწერებში ვერბალურთან ერთად გვხდება გამოსახულებები, ბგერითი და მოძრავი გამოსახულებები, მუსიკალური ეფექტები.

უცხო ენების სწავლების თანამედროვე მეთოდებში გვხდება სხვადასხვა ამ ტექსტებს მხოლოდ პედაგოგიური დანიშნულება გააჩნიათ.პედაგოგი თავად განაგებს პროცესებს, განსაზღვრავს და გეგმავს შესასწავლ მასალას, მის რაოდენობას, გაკვეთილების ინტენსივობას და სირთულეს.

სასწავლო ტექსტი არის ფართო ცნება და მოიცავს სასწავლო მასალას ზოგჯერ სახელმძღვანელოს სრულად.

ტექსტის სამი საბაზისო სახე არსებობს:

1. წერილობითი ანუ ბეჭდური სასწავლო წიგნის ტექსტი.

2. არალინგვისტური არსის მატარებელი წერილობითი ტექსტი.: სამეცნიერო, ზოგადი და სხვადასხვა მიმართულებებისა და პროფესიების სასწავლო ტექსტები.

3. წერილობითი ან ზეპირად შედგენილი ტექსტი წარსადგენად გამზადებული.

ტექსტების საფუძველზე ვითარდება კომუნიკაციური მეტყველება. ტექსტიდან იწყება მასალის გააზრება და შეცნობა.

სასწავლო ტექსტები შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ თემებს დაწყებული ბუნე ბიდან ზნეობრივ მაგალითებამდე დასრულებული.

ტექსტები იყოფა ფუნქციურ ტიპებად. მათ შორის:

1. აღწერითი (descriptive)

2. თხრობითი (narrative)

3. მსჯელობითი (arguimentative)

4. ლიტერატურული (literary)

5. პოეტური (poetic)

6. სამეცნიერო (scientifie)

7. დიდაქტიკური (didactic)

8. სასაუბრო (conversational)

ტექსტების მრავალფეროვნება ქმნის იმ გარემოს, რომლის გააზრება ადამიანს ეხმარება პიროვნული ზრდისთვის და უბიძგებს სრულყოფილებისკენ.

თუ ტექსტებს დავყოფთ შინაარსობრივ-სტილისტიკური პრინციპებით მაშინ გამოიყოფა სამი ტიპი:

1. მხატვრული

2. პუბლიცისტური

3. ინფორმაციული

ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მხატვრულს ახასიათებს ემოციურობა და სიფაქიზე. პუბლიცისტურში მთავარია გონებრივი ზეგავლენის მოხდენა და აუდიტორიის დარწმუნება. ინფორმაციული ტექსტი კი ნეიტრალურია. მისი ვალდებულებაა ინფორმაციის მიწოდება.

სასწავლო ტექსტის ორი სახე არსებობს: კომუნიკაციური და არა კომუნიკაციური. მონოლოგი და დიალოგი წარმოადგენს კომუნიკაციურ სასწავლო ტექსტებს, ხოლო ენობრივი ნიშნები როგორიცაა წინადადებები ან სიტყვათშეთანხმება უკვე არა კომუნიკაციურ ტექსტად ითვლება.

ტექსტის შერჩევისა პედაგოგიმა უნდა გავითვალისწინოთ:

1. რამდენად ნაცნობია მოსწავლისთვის(სტუდენტისთვის) მასალის ანუ ტექსტის სტრუქტურული ნიშნები

2. რამდენად შეესაბამება დასახულ მიზანს ტექსტის ფორმა.

3. შეძლებს თუ არა ტექსტი განავითაროს სტუდენტის, მოსწავლის უნარ-ჩვევები, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

4. არის თუ არა დაცული ოქროს შუალედი მხატვრულ ტექსტსა და პრაგმატულ ან ინფორმატიულს შორის.

5. ადაპტირებული ტექსტი რამდენად შეესაბამება პირველწყაროს.

ტექსტებზე ორიენტირებული სწავლების სამიზნეა ტექსტის ჟანრი, სტრუქტურა და ხარისხი, სასწავლო ტექსტი ნარატივს წარმოადგენს, ექსპოზიციურს ანუ შერეულ ტიპს, შერეულ ტიპს გააჩნია თხრობითი და ასევე ექსპოზიციური ნიშნები. ამგვარი ტექსტების თვალსაჩინო მაგალითია ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტები.

ინგლისური ენის გაკვეთილზე ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს უწყობს არამარტო ლინგვისტური , არამედ ციფრული ტექნოლოგიების უნარების ფლობას : გაგების, კომუნიკაციის , ანალიტიკური , სინტეზური აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, კრიტიკული აზროვნების , თანამშრომლობის, ლიდერობის, თვითშეფასების, კვლევა- ძიების, თვითგამოხატვის და სამოქალაქო ცნობიერების უნარების განვითარებას.

2.2. ელექტრონული თამაშები და სიმულაციები ინგლისური ენის სწავლებაში

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საგანმანთლებლო სივრცში თამაშების როლი მკვეთრად გაიზარდა. არსებობს საგანმანათლებლო თამაშები, ციფრულ თამაშები, ელქტრონული და გამოყენებითი თამაშები. პედაგოგები მიმართავენ ინტერაქტიულ სავარჯიშოებს, ვებგვერდებზე დაფუძნებული სწავლების დამსახურებით ტექნოლოგიური პლატფორმა ახორციელებს ციფრული თამაშებს, როგორც კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია ვებგვერდიდან ბრაუზერის მეშვეობით ჩატვირთონ ან და მობილური ტელეფონების და ინტერნეტის მეშვეობით აპლიკაციის სახით გადმოწერონ .

შესაძლებელია თამაშების შემქმნელებმა გამოიყენონ უამრავი ხერხი და თამაშები, თუმცა არსებობს შვიდი ყველაზე პოპულარული ონლაინ თამაშის სახეობა:

1. მოქმედებითი თამაშები - პასუხებზე დაფუძნებული ვიდეო თამაშები;
2. სათავგადასავლო თამაშები - მოთამაშე პროგრესს განიცდის დონეების მიხედვით;
3. საბრძოლო თამაშები-რაც გულისხმობს კომპიუტერზე კონტროლირებადი პერსონაჟების მოთამაშეების ჩართვას და ბრძანებების შესრულებას;
4. როლური თამაშები - სადაც მოთამაშეები ირგებენ მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟების როლებს;
5. სიმულაციები - თამაშები, რომლებიც მოდელირებულია ადამიანის მირ შექმნილი ან ფენომენური თამაშებით და გამიზნულია სპეციფიკური მიზნების განსახორციელებლად;
6. სპორტული თამაშები - დაფუძნებულია სპორტის სხვადასხვა სახეობებზე;
7. სტრატეგიული თამაშები - შექმნილია ისტორიულ პერსონაჟებზე და მხატვრულ პერსონაჟებზე დაყრდნობით, მიზნების მისაღწევად.

ბოლო წლებში, თამაშებზე დაფუძნებული სწავლება მეტად ამარტივებს აღქმის უნარს და სწავლების პროცესი მეტად სასიამოვნო და გასართობი ხდება, რის მეშვეობითაც მოსწავლე ადვილად და სასიამოვნოდ იმეცნებს ახალ მასალას. რეალურად კი ხდება ახალი მასალის, ლიტერატურის და ცალკეული მაცნიერების შესწავლა, ეს უახლესი ტექნოლოგია თანამედროვე სამყაროში ზედგამოჭრილია და მისასალმებელი.

სიმულაციები- ინგლისური ენის სწავლებაში ქმნის სცენარზე დაფუძნებული გარემოს, სადაც მოსწავლეებს აქვთ საშუალება გამოიყენონ და გამოააშკარაონ მათი

მძინარე ცოდნა და პრაქტიკული შესაძლებლობები რეალურ სამყაროში, ასევე მასწავლებლებს უადვილებს, მათი დასახული მიზნების მიღწევას.

სცენარზე დაფუძნებული სწავლების მიხედვით, მოთამაშე ანუ მოსწავლე იძენს მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა ინტერპერსონალური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ლიდერული უნარები, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, დავალებების შესრულების პრიორიტეტულობა და სტრესის მართვა.

პრაქტიკული სცენარი შესაძლოა გამოყენებული იქნას, ინდივიდუალურად ან გუნდურად. რაც მიმართულია ცოდნის გაზიარებისკენ და ურთიერთ ხელშეწყობისკენ გუნდში.

ციფრული სიმულაციები, რომლებიც მოსწავლეებს რთავენ ინტერაქტივში, ავთენტურ და თვითშემეცნების პროცესში, რაც გამოიყენება უმაღლესი განათლების მისაღებად.

ელექტრონული თამაშების გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილზე ხელს უწყობს: კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას, გუნდურ მუშაობას და ლიდერობას, ციფრული ტექნოლოგიების და მედია ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, მეტაშემეცნება და ინოვაცია კარიერის დაგეგმვაში.

შემეცნებითი ხასიათის საგანმანათლებლო თამაშები ხელს უწყობს, სწავლას კეთებით, სადაც დაშვებულია შეცდომების დაშვება და მოსწავლეს უზრდის მოტივაციას, თამაშები არის ხმოვანი, ვიზუალური, ინტელექტუალური სიმულაციების ერთობლიობა, ასეთი ტიპის თამაშები არის მეტად მიმზიდველი და სწავლების პროცესს ამრავალფეროვნებს.

კომპიუტერული თამაშები მეტწილად მოიპოვება CD და DVD ფორმატში, თუმცა ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა და უკვე შესაძლებელია ამ თამაშების გამოსაყენებლად ინტერნეტის ბრაუზერი.

თამაშის შესაქმნელად საჭიროა სცენარის შექმნა, რომელიც სრულიად შესაბამისი იქნება საგაკვეთილო პროცესისთვის და მოსწავლეზე ორიენტირებული ეფექტური სწავლებისთვის.

2.3. .მულტიმედია საშუალებების და პროექტ-მეთოდის როლი ინგლისური ენის სწავლებაში

ადამიანი „ცოცხალი ჭვრეტის“ მეშვეობით შეიცნობს მის გარემომცველ საგნებს, მოვლენებსა და გარეგან ფაქტორებს. უცხოური ენის შესასწავლად აუცილებელია ავთენტური მასალით გამდიდრება საგაკვეთილო პროცესის. ავთენტური ვიდეო და აუდიო მასალა შესაძლოა იქცეს პირველწყაროდ უცხოური ენის შეასწავლის პროცესში. სწავლების თვალსაჩინო მეთოდებს ორ ნაწილად ყოფენ ესენია: დემონსტრაცია და ილუსტრაცია. მასწავლებლის მოქმედებების ერთიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საგნებისა და მათი მოდელების ჩვენებას თან დართული არსებითი ნიშნების ახსნა ეწოდება ჩვენება ანუ დემონსტრაცია, ხოლო მასწავლებლის მიერ ახსნითი ილუსტრაციებით მოვლენის ან საგნის გადმოცემას ილუსტრაციის მეთოდი ეწოდება, რაც ხელს უწყობ სწავლების განსაკუთრებულ თვალსაჩინოების მეთოდს. დემონსტრაცია გულისხმობს, ცდების ტექნიკური დანადგარების, ხელსაწყოების, კინოფილმების ჩვენება, ხოლო ილუსტრაციის მეთოდი მიზნად ისახავს, მოსწავლეთათვის ილუსტრაციის სახით ჩვენება: კინოჩვენება, ფილმის განხილვა. რუკები, პოსტერები, პლაკატები, სლაიდები, სქემები, სურათები და ა.შ.

ალექსანდრე გობრონიძე აღნიშნავს რომ სასწავლო რესურსების გამოყენებას თან ახლავს საჭირო ინვენტარით მომარაგება, :

	ტექნიკური საშუალებები (აპარატურა)		სასწავლო მასალები დიდაქტიკური საშუალები
1	კინოპროექტი	1	ფილმი (16 მმ და 8 მმ)
2	დიაპროექტი	2	დიაფილმი, დიაპოზიტივი
3	ეპიდიასკოპი	3	ყოველი ბრტყელი გამოსახულება
4	კოდოსკოპი	4	აღდგენილი ჩანაწერები
5	რადიომიმღები	5	ფირფიტები
6	მაგნიტოფონი	6	მაგნიტოფონის ფიზე ჩანაწერები
7	ლინგაფონის აბინეტის მოწყობილობა	7	მაგნიტოფონის ფირზე ჩანაწერები
8	ტელევიზორი	8	სასწავლო ან საერთო გადაცემები
9	ვიდეო მაგნიტოფონი და ა.შ.	9	სასწავლო ან საერთო გადაცემები
10	მასწავლებელი მანქანები	10	მასწავლებელი პროგრამები
11	ეგმ. მიკრო კომპიუტერი	11	მასწავლებელი პროგრამები

მასწავლებელი არამხოლოდ თავის საგანს უნდა ფლობდეს, არამედ, სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, მათ შორის არის ციფრული საშუალებები. სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენება დია პროექტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ დიაფილმების ჩვენებას, რომელიც კინოპროექტორზე მეტად ადვილია, თან საშუალებას აძლევს პედაგოგს კადრი შეაჩეროს და საკმაო ხანს დააკვირდნენ მოსწავლეები. დიაფილმების კადრებს, ახლავს წარწერები, თუმცა არსებობს ხმოვანი დიაფილმებიც. განსაკუთრებით უცხოური ენის შესასწავლად ეს მოწყობილობა არის ხელსაყრელი, ენის შემსწავლელს გაუმარტივდება სწავლა.

ეპიდიასკოპის- გამოყენება სწავლების პროცესში ხელს უწყობს მცირე წარწერების გადიდებას. დაფაზე დაწერილი ტექსტი, წიგნში დაწერილი მასალა მეტად მარტივად აღქმადი ხდება.

მაგნიტოფონი- სასიკეთოდ მოქმედებს მოსწავლეებზე, უცხოური ენა მხოლოდ წიგნებიდან არ ისწავლება ,აუცილებელია ავთენტური ჩანაწერების მოსმენა, ყური ეჩვევა უცხო ბგერებს და უფრო მარტივად აღქმადი ხდება ტექსტი.

ლინგაფონი- უმნიშვნელოვანეს აპარატურას წარმოადგენს უცხოური ენის შეს-წავლის პროცესში, ლინგაფონების დამსახურებით მოსწავლეები ითვისებენ სწორად წარმოთქმას. დღესდღობით, მოსმენითი დავალებები ყველა უცხოენოვან წიგნს მოყვება და CD დისკზე ჩაწერილი ხმოვანი მასალა. კომპიუტერმა ეს პრობლემა მოაგვარა და მასწავლებლისთვის ძალიან გაამარტივა მოსმენის პროცესი.

პრეზენტაცია მნიშვნლოვანია ინგლისური ენის გაკვეთილის ეფექტურად ჩასატარებლად, რომლის მიზანი არის ინფორმაციის მიწოდება, პრობლემაზე დაფიქრება, დაინტერესება. ნებისმიერი სასწავლო პროექტი პრეზენტაციებით მთავრდება და ამაში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, რაც კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესს აძლირებს. პრეზენტაციის მოსამზადებლად ფართოდ გამოიყნბა პროგრამა Microsoft PowerPoint.

პრეზენტაცია ორი სახისაა; ზეპირი და ვიზუალური. ინგლისური ენის გაკვეთილის ასახსნლად პრეზენტაციის მომზადების ძირითადი საფეხურები ასე გამოიყურება:

ა) პრეზენტაციისთვის განკუთვნილი თემის ან საკითხის სიღრმისეულად შესწავლა;

ბ) აუდიტორიის განსაზღვრა - ვინ არიან აუდიტორიის წევრები, აქვთ თუ რა ინფორმაცია არსებული თემის ან საკითხის ირგვლივ და რისი გაგება შეიძლება გაუ-ჭირდეთ მათ;

გ) პრეზენტაციის მიზნის სრულყოფილად ჩამოყალიბებულად განსაზღვრა;

დ) გეგმის გაწერა- შესავალი, ძირითადი ნაწილი, შეჯამება და დასრულება;

ე) ვიზუალური საშუალებების სწორად შერჩევა, ასევე პროექტორის დახმარებით სლაიდ შოუს გაშვება;

ვ) სლაიდების მომზადება, შეიცავს თითოეული სლაიდის სუფთად მომზადებას და ვიზუალურად გაფორმებას;

ზ) რეპეტიცია, იმ დეტალებზე ორიენტირება რაც არ უნდა გამოგრჩეთ პრეზენ-ტაციის პროცესში;

თ) გარემოს მომზადება და საჭირო ნივთებით დროულად აღჭურვა;

ი) პრეზენტაციის წარმართვა და ყურადღება სხეულის ენის, ხმის ტემბრის კონტროლი, ჟესტები ა.შ;

კ) დასასრულს შესაძლებელია კითხვების დასმა, თუ რა კითხვები დაუგროვდა აუდიტორიას არსებულ საკითხთან დაკავშრებით.

სლაიდებზე სასურველია დატანილ იყოს მხოლოდ აუცილებელი ინფორმაცია, არ არის რეკომენდებული ვრცელი ტექსტები, ბევრი სლაიდი, თითოეულ სლაიდზე 8 ხაზზე მეტი ტექსტი , შრიფტის ზომა 20-დან 48-მდე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუქი ფერის შრიფტით იყოს გამოსახული და არ გადავტვირთოტ ზედმეტი ილუსტრაციით.

პროექტ გაკვეთილის ჩატარება ინგლისური ენის გაკვთილზე გულისხმობს მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, სწავლების პროცესში მთავარი მოქმედი პირი არის მოსწავლე და არა მასწავლებელი, ასევე პროექტის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. სუსტი მოსწავლეების გააქტიურება, რაც ამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას.

პროექტის სამი ძირითადი სახე არსებობს, ესენია: პატარა, დიდი და საშუალო პროექტები.

პატარა ანუ მინი პროექტის ხანგძლივობა მოიცავს დროის ერთ ან ორ საათს, და ჩვეულებისამებრ გრძელდება 2 საათიდან 6 საათამდე, საშუალო პროექტები კი ერთი ან ორი დღე, მისი მაქსიმალური ხანგძლივობა შეადგენს ორმოც საათს, ხოლო რაც

შეეხება დიდ პროექტებს ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობს რამდენიმე სამიზნე ჯგუფისა და დაწესებულების ხელმძღვანელობით.

პროექტის წამომწყები ხშირად არის, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, იგი წარმოაჩენს იდეას ან საკითხს ,შემდეგ კი ჯგუფის წევრები ქმნიან მონახაზს, ისინი ადგენენ დროის ხანგძლივობასა და წესებს, აგროვებენ საკითხის ირგვლივ ინფორმაციას, იდეებს და უზიარებენ ერთმანეთს ჯგუფში.

პროექტზე მუშაობა იგივე გუნდური მუშაობაა, საჭიროა პროექტის ხელ-მძღვანელის შერჩევა, მას ეწოდება პრეზენტატორი, ის ანაწილებს ჯგუფში დავა-ლებებს. ასევე პროექტის ჯგუფის წევრებს ყავთ „მწერალი“, რომელიც ინიშნავს პროექტის მეთოდებს, პროექტის ძირითადი მახასიათებელია პრეზენტაცია. რომელიც გულისხმობს კვლვის შდეგად დაგროვილი ინფორმაციის ნათლად და მკაფიოდ წარდგინებას. ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა პრეზენტაცია გასაგები ენით უნდა ისაუბროს ,რათა გაკვეთილი ადვილად აღსაქმელი გახადოს.

ვერნისაჟი - პრეზენტაციის ერთ-ერთი ფორმაა, დოკუმენტაციები გამოფენილ უნდა იქნას რამდენიმე ოთახში და პროექტის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ამ საკით-ხის ირგვლივ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ასევე საზეიმო ელფერს შესძენს პროექტს სასმელი და ტკბილი ნუგბარით გამასპინძლება. ამით მოსწავლეები მეტად წახალისდებიან.

პროექტის ბოლოს ხდება ფოტოგამოფენა - სხვადასხვა ფერის მარკერებით ფოტოსურათები რაც მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია, პროექტ-გაკვეთილები ინგლისური ენის სწავლებაში საუკეთესო გზაა ინფორმაციის მისაღებად, სწავლა ძიების უნარების შესაძენად. ვიზუალიზაცია ეხმარება მოსწავლეს ადვილად აღიქვას სასწავლო ტექსტი, განსაკუთრებით სუსტი მოსწავლეების სწავლის პროცესში ინტეგრაციისთვის.

პროექტის შესაქმნლად გამოიყენება https://projeqt.com/ ხელსაწყო, რომელიც ქმნის მულტიმედიურ პრეზენტაციებს, მოძრავი სლაიდებს, რომელზეც მიმაგრებულია რუკები, ბმულები, ვიდეოები, ონლაინ ქვიზები და სხვა ინტერნეტ რესურსები.

2.4 ინტერნეტი და დისტანციური სწავლების როლი ინგლისური ენის გაკვეთილზე

ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება ინგლისური ენის გაკვთილზე შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით, ინტერნეტი წარმოადგენს მოსწავლეების სწავლის გაძლიერების ინსტრუმენტს , ციფრული ტექნოლოგიების როლი ადამიანის ცხოვრებაში სწარფი ტემპით იზრდება, იგი ფაქტობრივად შლის საზღვარს ვირტუალურ და რეალურ სამყაროთა შორის . ვირტუალური სივრცე ,სადაც ადამიანები ამყარებენ კომუნიკაციას ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან ,ასევე სწავლის პროცესში ინტერნეტი წარმოადგენს მოსწავლეების მოტივაციის ზრდის და სოციალიზაციის ინსტუმენტს. იცვლება სწავლში გარემოს ხედვა, სასწავლო გარემო არ არის სივრცით შეზღუდული, მისი ნაწილია ვირტუალური სივრცე , რაც აძლევს მასწავლებელსა და მოსწავლეებს გასცდნენ საკლასო ოთახს და დაუკავშირდნენ რეალურ სამყაროს. ინტერნეტსივრცე მოსწავლეებისთვის მეტად მიმზიდველი, მოქნილი, ნაცნობი, თავისუფალი , მოსწავლე მისი მეშვეობით უფრო მობილურია და უკეთ უწყობს ფეხს ტექნოლოგიურ საუკუნეს. პედაგოგი თვითონ უნდა იყოს აქტიური ინტერნეტ მომხმარებელი, რათა ადვილად მოახერხოს მოსწავლის ონლაინ ჩართვა სასწავლო პროცესში, დისტანციური სწავლება ეს ონლაინ სწავლების ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც მოსწავლე არ იმყოფება ტრადიციულ საკლასო ოთახში და სწავლება მიმდინარეობს არა პირისპირ კომუნიკაციით, არამედ დაშორებით, თუმცა სწავლების პროცესი ხელმისაწვდომია.

დისტანციური სწავლების წინარე განვითარებას. ელექტრონული საწვრთნელები წარმოადგენს ჯერ კიდევ სანამ პერსონალური კომპიუტერი შეიქმნებოდა იქამდე ფართოდ იყენებდნენ, სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში.ელექტრონული საწვრთნელები ეს არის, მეთოდური პროგრამები, რომლებიც განსაზღვრული კლასის ამოცანებისთვის გაწერილ მიზნებს უწევენ რეალიზებას. კომპიუტერული საწვრთნელები გამოიყენება სხვადასხვა საგაკვეთილო პროცესში, ეს იქნება უცხო ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა თუ სხვა. კომპიუტერული საწვრთნელების უმთავრეს მიზანს წარმადგენს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცება.

მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრისათვის, დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი მასწავლებელი თავის სტუდენტებს უგზავნიდა ფოსტის მეშვეობით სასწავლო მასა-

ლებს და ასწავლიდა მათ, ხოლო უნივერსიტეტში პირველი დისტანციური სწავლება ეკუთვნის ლონდონის უნივერსიტეტს.

1858 წელს ლონდონის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა დისტანციურ სწავლებას. მეოცე საუკუნის ბოლომდე დისტანციური სწავლება იხვეწებოდა ,თუმცა ფართო მასებზე გავრცელება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდაც ინტერნეტი გავრცელდა და საზოგადოების დაინტერესება .

საქართველოში ელექტრონული კურსები დაინერგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. ასევე არსებობს „საბას მადლი“ სულხან -საბა ორბელიანის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული სწავლების ვებგვერდი და ნებისმიერ სტუდენტს აქვს საშუალება ისწავლოს დისტანციურად.

დისტანციური სწავლების ითვალისწინებს სამ ძირითად სწავლების ფორმებს, ესენია: კომპიუტერით სწავლება, დისტანციური სწავლება ინტერნეტით და მობილური სწავლება (m-learning). ონლაინ სწავლებაში სხვადასხვა პლატფორმები ვირტუალურ საკლასო ოთახებს გვთავაზობს, ესენია: zoom, moodle, microsoft teams. ონლაინ სწავლებისთვის აუცილებელია ინტერნეტთან და კომპიუტერთან წვდომა.

გამოყოფენ ონლაინ სწავლების ასინქრონულ, სინქრონულ და შერეულ სწავლების მეთოდებს. სინქრონული სწავლების მეთოდი მოიცავს ტრადიციული სწავლების ანალოგს, სადაც ყველა მოსწავლე მასწავლებელთან ერთად უძღვება საგაკვეთილო პროცესს დროის შეზღუდული რაოდენობით. სინქრონულ სწავლებას მოიცავს: ჩეთი, მესინჯერი, ვიდეო აუდიო კონფერენციები, აპლიკაციებით ერთობლივად სარგებლობა, ვირტუალური დაფა და აზრის გამოკითხვა ინტერნეტის მეშვეობით. ასინქრონული სწავლება არ არის დროში შეზღუდული, მისთვის დამახასითებელი ფორმებია ვიკი, ბლოგები, ფორუმი, ბლოგები და სხვა საკომუნიკაციო ქსელები. შერეული სწავლება მოიცავს დამოუკიდებელ და მასწავლებელზე დამოკიდებულ სწავლებას. აუდიტორიაში პირირსპირ მუშაობა ან ვებ სემინარი ანუ ვებინარი. ფიზიკური კლასის დამხმარე ელემენტია.

2020 წელს საქართველოში Covid -19-ის გავრცელების შედეგად აუცილებელი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები გადასულიყო ონლაინ სწავლებზეა, რამაც შეცვალა ტრადიციული საკლასო ოთახი და საზოგადოებას დაანახა დისტანციური სწავლების აუცილებლობა, რაშიც

ინტერნეტის როლი განუსაზღვრელია. იგი საშუალებას იძლევა არაერთი ფასიანი და უფასო პლატფორმების შემოთავაზებას, ესენია:

Zoom – zoom video communications - ზუმ აერთიანებს: ვიდეო კონფერენციებს, ონლაინ ჩეთებს, ვებინარებს, ონლაინ შეხვედრებს, ონლაინ გაკვეთილებს, ონლაინ ლექციებს და ა.შ. ონლაინ გაკვეთილის განსახორციელებლად საჭიროა რეგისტრაციის გავლა და სამიზნე აუდიტორიის წევრების მოწვევა, ზუმს აპლიკაცია აქვს რომლის გადმოწერით შესაძლებელია ონლაინ მუშაობა, იგი 100-მდე მოსწავლეს აერთიანებს, თუ შეხვედრას სამზე მეტი მონაწილე ჰყავს, ვიდეო ზარის დრო ორმოცი წუთია .თითოეულ მონაწილეს შეუძლია მიკროფნის და ვიდეოს მართვა ,გამოყენება, საკუთარი ეკრანის გაზიარება პრეზენტაციისათვის.

Microsoft teams -საქართველოს განათლების სამინისტრომ შემოგვთავზა დისტანციური სწავლებისა და კომუნიკაციის მძლავრი სისტემა ,რომელიც საგანმანათლებლო პროცესზე მორგებულ შესაძლებლობებს გვთავაზობს, სასწავლო პლატფორმა შესაძლებელს ხდის საგაკვეთილო პროცესი სრულად, ყოველგავრი შეზღუდვების გარეშე დისტანციურ რეჟიმში წარიმართოს. დისტანციურად ჩატარდეს გაკვეთილები, მოხდეს ელექტრონული კონტენტის გაზიარება, შეიქმნას ჯგუფები და დაემატოს დისციპლინები, ვირტუალურად მოხდეს საგაკვეთილო პროცესის ვიზუალიზაცია სლაიდების და პრეზენტაციის საშუალებით, დამყარდეს უკუკავშირი ხმოვანი და წერილობითი სახით, შემოწმდეს სწრებადობა, ასვე სასწავლო პლატფორმას გააჩნია მოსწავლეების შეფასების მოდელი, ცოდნის დონის განვითარებაზე დაკვირვება , ვირტუალური დაფა, ტესტების აგების , ჯგუფში ტესტირების ჩატარების რეპორტინგი.

Facebook live - ვიდეოტრანსლაციისთვის გამოიყენება, შესაძლებლობა აქვს შეიქმნას ინგლისური ენის სწავლების დახურული ჯგუფი და ჩატარდეს უფასოდ ონლაინ გაკვეთილები დროის შეზღუდვის გარეშე.

Facebook Room - ელექტრონული საკლასო ოთახის მოდელია, შესაძლებლობა აქვს მოიწვიო სამიზნე ჯგუფი დაგეგმო გაკვეთილი და მიუთითო საჭირო დრო **.**

Skype- ინგლისური ენის ვიდეოკონფერენციის ჩასატარებლად ხელსაყრელი სერვისია .თითოეული მოსწავლე უნდა დარეგისტრირდეს , იქმნება კლასი და განსაზღვრულ დროში ერთვება თითოეული მათგანი და ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ზარის განხორციელების მეშვეობით.

Feedc.edu.ge-პირველი ქართული პლატფორმა ონლაინ სწავლებისთვის საქართველოს კულტურის, განათლების ,მეცნიერების და სპორტის სამინისტრომ პრემიერ მინისტრის ხელშეწყობით დისტანციური სწავლების მეთოდები გააძლიერა და სასწავლო პლატფორმა სრულიად უფასოა, იგი სრულყოფილად მუშაობს ნებისიმიერ ციფრულ ტექნოლოგიაზე ,მას არ სჭირდება მაღალი ხარისხის ინტერნეტი ,შესაძლებელია მარტივად რეგისტაციის გავლა. საქართვლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმეტესობა ონლაინ გაკვეთილებს Feedc-ის პლატფორმის გამოყენებით ატარებენ.

საქართველოს განათლების სამინისტრომ 2020 წლის 30 მარტს შექმნა დისტანციური სწავლების ახალი საგანმანათლებლო პროექტი-„ტელესკოლა“, რაც ონლაინ სწავლების უახლესი ფორმაა, იგი მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს, სწავლების ფორმა მოსწავლეს აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მიიღოს სრული განათლება . „ტელესკოლის“ გაკვეთილებს პროფესიონალი მასწავლებლები ატარებდნენ , პროექტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის მქონე პირებისთვის და აბიტურიენტებისთვის მორგებულ სასწავლო გარემოს ქმნის.

ონლაინ დაფა-ჯერ კიდევ, როდესაც უცხოური ენის პედაგოგები იყენებენ ონლაინ რესურსებს სწავლების პროცესში, სოციალური ქსელის ინტეგრაციის შესახებ ჯერ კიდევ იშვიათად საუბრობენ. მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ენის შესასწავლად უმთავრესია კომუნიკაცია და ინტერაქცია, ენის პედაგოგებს თვალთახედვიდან არ უნდა გამორჩეთ ის ფაქტი, რომ ენის შესასწავლად აუცილებელია ავთენტურ მასალაზე გაცნობა.

Google

ვირტუალური სასწავლო გარემოს(Virtual learning environment - VLE) ფართო სპექტრმა და მოთხოვნილებამ მსგავს სწავლებაზე მოახდინა გავლენა და უამრავი მსურველი ჩართო, ერთ -ერთი მსგავსი პლატფორმა, როგორიც არის Moodle - რომელიც სოციალური ქსელის მრავალფეროვანი გამოყენების საშუალებას იძლევა და გარდაიქმნება სასწავლო პლატფორმად.

Moodle (https://docs.moodle.org)- სასწავლო პლატფორმაა, გასათვალის-წინებელია ისეთი რესურსისადმი ლოკალიზება, რომელსაც ექნება მშობლიურ ენაზე გადართვის მარტივი ფორმა. მსგავსი სასწავლო პლატფორმა მოწოდებულია განათლების

სისტემისთვის, სწავლით დაინტერესებული პირებისთვის და ადმინისტრაციის მუშაკთათვის, ისინი ვინც პერსონალური სწავლებისთვის გამოთქვამენ სურვილს. თქვენ შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ინტერნეტის მეშვეობით moodle (Modular Object-Oriented Dynamic Larning Environment) ობიექტ-ორიენტირებული მოდულარული სასწავლო გარემოს აპლიკაცია 213000 მომხმარებელს ითვლის, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება, მოქნილი აპლიკაცია 120 ენაზე, შეიცავს ვიკი, ფორუმებს და უამრავი სხვა სოციალურ გვერდებს. მარტივად მართვადია, მობი-ლურის ბრაუზერის საშუალებით შეიძლება მისი გამოყენება. გვერდზე გაწევრიანების შესაძლებელი მეთოდია LDAP - მეთოდი. ოპტიმალური გამოყენების საშუალებით, მომხმარებლებს გააჩნიათ სხვადასხვა სტატუსები, მაგალითად: სტუმარი, სტუდენტი, მასწავლებელი, ასევე მათ გააჩნიათ საკუთარი უფლებები. მასწავლებელი რედა-ქტირების უფლების გარეშე ან უფლებით, შიგთავსის ადმინისტრატორი, კურსის დიზაინერი, მთავარი გვერდის ადმინისტრატორი.

ადმინისტრატორი უფლებამოსილია, რომ სტატუსი შეუცვალოს უფრო მაღალი მომხმარებლის სტატუსით, ის ხსნის კურსის შაბლონს, ახორციელებს მასწავლებელზე საჭირო სტატუსის მინიჭებას. იგი ახორცილებს მონიტორინგს გვერდზე, თუ როგორ მიმდინარეობს აქტიურობა, ასევე ასწორებს ხარვეზებს.

კურსის დიზაინერს ევალება კურსის შექმნა და რედაქტირება, აქტიურობების დამატება, კურსის შემსწავლელი ჯგუფების შექმნა და გვერდზე მომხმარებლების ჯგუფში გაწევრიანება და სწავლების პროცესის მართვა. ის ურთიერთობას ელექტრო-ნული ფოსტის საშუალებით ახორციელებს.

მასწავლებელი რედაქტირების უფლების გარეშე -მხოლოდ მართავს სასწავლო პროცესს, ხოლო უფლებამოსილი მასწავლებელი ვერ ქმნის ახალ ჯგუფს, თუმცა დირექციის ნებართვით შეუძლია რედაქტირება, როგორც კურსის ავტორს.

სტუდენტებს აქვთ საშუალება გაწევრიანდნენ ორი გზით:

ა) მასწავლებლის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, კურსის შიგნით წარმოდგე-ნილი მენიუდან.

ბ) მასწავლებლისა და ადმინისტრაციის გადაწყვტილებით მხოლოდ კოდური სიტყვა იყოს საკმარისი.

დისტანციური სწავლებისას მნიშვნელოვანია ონლაინ დაფის როლი , იგი წარმოადგენს ვებ კურსზე დაფუძნებულ მენეჯმენტურ სისტემას, რომელიც შექმნილია ცალკეული კურსებისთვის და მოსწავლისთვის, რომლიც შესაძლებლობას იძლევა მონაწილეობა მიიღონ ინტერნეტით ჩატარებულ საგაკ-ვეთილო პროცესში და შეასრულონ აქტივობები.

ონლაინ დაფა ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს საკუთრივ გაიმეორონ ცოცხალი საკლასო ოთახის მოდელი. მასწავლებელს შეუძლია მიაწოდოს მოსწავლეს მასალები, ტესტები, საგამოცდო მასალა, ასევე შესაძლებელია გამოცდების ჩატარება.

დაფის გამოყენება საკლასო ოთახში ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია ეფექტური გაკვეთილის ჩასატარებლად, რომელიც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ახალი მასალის სირთულეს ამარტივებს და მოსწავლე ადვილად იმახსოვრებს ახალ მასალას.

პროექტი „ტელესკოლა“ ასევე იძლევა ინგლისური ენის გაკვეთილის ჩატარების შესაძლებლობას- კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს, 1 საათის განმავლობაში თხუთმეტწუთიანი ინგლისური ენის ონლაინ გაკვეთილები მიმდინარეობდა დონეების მიხედვით, პირველი დონე - პირველიდან მეექვსე კლასამდე, მეორე დონე-მეშვიდე-მეცხრე კლასამდე, ხოლო მესამე დონე - მეათე და მეთორმეტე კლასებისთვის იყო განკუთვნილი.

ტელეგაკვეთილების ატარებდნენ ENGLISH BOOK EDUCATION -ის წამყვანი მასწავლებლები, ინსტრუქციით ინგლისური ენის ტელეგაკვეთილები ტარდებოდა ამბის თხრობის რეჟიმში, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას მოისმინოს მოთხრობა, გაიაზროს და განუვითარდეს ანალიტიკური აზროვნება.

მსგავსი ფორმატი მოსწავლეს უქმნის ავთენტურ იგივე ცოცხალ გარემოს, რომ შეძლოს ხელოვნურად უცხოური ენის დაუფლება, საგულისხმოა, რომ უცხოური ენის შესწავლისას მხოლოდ ლინგვისტური ხერხები არ კმარა და საჭიროა თითოეული ქვეყნის სოციოკულტურული კონტექსტების კარგად სწავლა.

გაკვეთილის პროცესში ხდება ინტერაქტიული მეთოდის წარმოება, ხდება ვიზუალიზაცია ფორმატული მასალის, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას და ინტერესს, რათა სკოლის მოსწავლე იყოს 15 წუთის მანძილზე სრულად ჩართული საგაკვეთილო პროცესში. ამავდროულად, ტელეგაკვეთილები სრულად ვერ ჩაანა-

ცვლებს ტრადიციულ სასწავლო პროცესს, თუმცა საკმაოდ წაახალისებს მოსწავლეებს ენის შესწავლის პროცესში და სასწავლო პროცესი იყოს უწყვეტი.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფსორის სტივენ კრაშენის უცხოური ენის დაუფლების თეორიის მიხდვით:

1. უცხოურ ენას ვეუფლებით მაშინ, როცა ამ ენის ინფორმაცია გასაგებია;
2. მოსწავლე ამ ინფორმაცია უნდა იღებდეს ხშირად, რათა დაეუფლოს ენას;
3. უცხოური ენის შესწავლა არ უნდა იყოს სტრესფაქტორი მოსწავლისთვის.

კრაშენი საუბრობს, რომ ენის შესწავლა არ უნდა იყოს დაკავშირებული რიგ ნეგატიურ ფაქტორებზე. უარყოფითი ფაქტორები ხელს უშლის ენის დაუფლებას. ენის სწავლა და ენის დაუფლება სხვადასხვაა. ამის გამიჯვნა უნდა შევძლოთ, ის რომ ენის დაუფლება მუდმივი, მიზანმიმართული პროცესია. კრაშენის თეორია იძლევა რჩევას, რომ , ტელესკოლის პროექტის გაუმჯობესება შესაძლებელია სამი ფაქტორით:

1. სუბტიტრირება;
2. თვალსაჩინოება;
3. წაკითხული ტექსტუალური მასალის ჩვენება.

სუბტიტრირება- ხელს უწყობს მოსწავლეს კარგად შეძლოს გარჩევა საუბრის და ასევე მოსმენის უნარის გაუმჯობესებაში ეხმარება, ინგლისური ენა ერთ-ერთი ყველა-ზე მოთხოვნადი საერთაშორისო ენაა. მასზე მოთხოვნა ძალზედ დიდია სწორედ ამიტომ თანამედროვე სამყარო ეძებს ალტერნატიულ გზებს, ტექნიკის განვითა-რებასთან ერთად, უცხოური ენების განსაკუთრებით, ინგლისური ენის შესწავლის მსურველთათვის ამ პროცესის გამარტივებას.

ყველაზე მოთხოვნადი და ეფექტური მეთოდი მსოფლიოს მასშტაბით არის პერცეპტუალური(აღქმადი) სწავლა და აღქმა ენისა. სუბტიტრებით ინფორმაციის სისტემატიურად ყურება და შესწავლა ბევრად ახალი და ეფექტური მეთოდია. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყნებში, ფილმების, რეალითი შოუსა თუ პოპულარული გადაცემების ტრანსლირება ხდება მშობლიურ ენაზე, მაგრამ ინგლისური სუბტიტრებით. ერთადერთი პრობლემური მხარე შესაძლებელია იყოს ფონოლოგია და წარმოთქმა. სუბტიტრების მეშვეობით

ადამიანის ლექსიკური მარაგი იზრდება, მაგრამ უცხო ენაზე წარმოთქმა და მეტყველების აპარატის გაუმჯობესება შეუძლებელია. რთულია ფონემების ვარიაციების გარჩევა ძირითადი კონტექსტისგან, მაგრამ აუდიო მეხსიერების მეშვეობით შესაძლებელია ამ პრობლემის აღმოფხვრა,

თვალსაჩინოება- მიზანად ისახავს მასწავლებლის მიერ წარმოთქმული ტექსტი მკაფიო, ნათელი და მეტად გასაგები გახადოს. თვალსაჩინოება გვევლინება დამხმარე ძალად საგაკვეთილო პროცესში. რა საკვირველია მოსწავლეებს ენის შესასწავლად განსხვავებული უნარები გააჩნიათ, ზოგიერთი ინფორმაციას ადვილად აღიქვამს აკუსტიკურად (სმენით), ზოგიერთი ვიზუალურად (თვალით), ე.ი. თოთოეულ მოსწავლეში აღქმის უნარი არის ინდივიდუალური, რაც გულისხმობს იმას, რომ წინასწარ უნდა მოხდეს მოსწავლის სწავლის სტილის შესწავლა.

წაკითხული ტექსტის ჩვენება-იგივეა რაც სუბტიტრირება, ფორმატულად განსხვავებულია, რადგან მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მასწავლებელთან ერთად წაიკითხონ.

სოციალური ქსელი ინგლისური ენის სწავლებაში- სოციალური მედია ხასიათდება ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების ჯგუფად, რომელიც ქმნის ვებ გვერდის იდეოლოგიურ და ტექნოლოგიურ საფუძვლებს იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელთა კონტიგენტს ინფორმაცია გაცვალოს სოციალური მედიის მთავარი მიზნის მიხედვით. სოციალური ქსელი ძალიან დიდი როლს თამაშობს თვითშემეცნებაში.მისი როლი განუზომელია,ვინაიდან ყოველდღიური სოციალურ ყოფაში სოციალური ქსელის მოხმარება ენაზე ინტეგრირებას ,უშუალოდ ენის მატარებელთან საუბარი ხდება თანამშრომლობის გზით და სულაც არ არის პირდაპირ მიმართული სწავლებაზე.ბუნერივი ურთიერთობის ფონზე ზელოვნურად შექმნილ ენობრივ გარემოში.

ამერიკელი მწერალი და მეცნიერი , მარკ პრენსკი ყურადრებას ამახვილებს სოციალური ქსელის უპირატესობაზე-მოსწავლეები სხედან თანამედროვე საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესს წარმართავს ციფრული ტექნოლოგიბის უნარის ფლობის მქონე პედაგოგი, რომლიც იყენებს გრაფიკულად მდიდარ, გლობალურად ხელმისაწვდომ ელექტრონულ რესურსებს და ციფრული მოწყობილობებს, როგორიცაა: სმარტფონი, პლანშეტი, კომპიუტერი, ინტერნეტი. პედაგოგებისთვის ეს გამოწვევაა , თუ როგორ ეხმარება სოციალური მედია

განათლების მიღებაში მოსწავლეს. სოციალური ქსელიდან აღსანიშნავია ბლოგის უპირატესობა სასწავლო პროცესში.

სოციალური ქსელი- სასწავლო რესურსის ამპლუაში- Facebook, twitter და Instagram ახლებური მეთოდია სწავლების პროცესში. განათლების სისტემისთვის ეს ახალი გამოწვევაა, მობილურ მოწყობილობებთან მიჯაჭვული ბავშვები, როგორ დავამეგობროთ სწორად ციფრულ ტექნოლოგიებთან, რათა სწორად და ეფექტურად მოხდეს ტექნოლოგიების გამოყენება პედაგოგიურ საქმიანობაში აპლიკაციათა მიზანი არ არის ენის შესწავლა, თუმცა ამ უდიდეს პლატფორმაც გულგრილად ვერ ავუვლით, იმიტომ რომ ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს უცხოური ენის შესწავლის პროცესში.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს არის თუ არა საერთოდ სასარგებლო სოციალური ქსელი ენის შესასწავლად და რატომ, სოციალური ქსელი მილიონობით უზუსტო ინფორმაციას მოიცავს, იქ მყოფი მომხმარებლები არიან ხშირ შემთხვევაში უბრალოდ მოსაუბრე ადამიანები და არა ენის სპეციალისტები, ეს გვერდები გამოიყენება სამეგობრო წრის გასაფართოებლად, ახლობლებთან კომუნიკაციის გასაფართოებლად და არა სასწავლად, თუმცა არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ენის შესასწავლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომუნიკაცია, ვერბალური და არავერბალური, ამის საშუალებას გაძლევს სოციალური ქსელი .

ენის შესასწავლი კურსებით აქვს facebook messenger learning English language არსებობს უფასო აპლიკაცია და მსურველს ყოველდღიურად აქვს საშუალება მიიღოს ახალი ლექსიკური მარაგი მესინჯერის საშუალებით, თან ახლავს მოსასმენი სიტყვები ფოტოსურათებით.

ვინაიდან ფეისბუკ მესინჯერს აქვს აუდიო ჩანაწერების, ვიდეოს - ფოტოს გადაღება/ჩაწერის ფუნქცია, ამავდროულად იგი შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს მულტიფუნქციურ აპლიკაციად, რაც უშუალოდ მოსწავლეებს შეუქმნის კომფორტს მასწავლებელთან დაამყაროს უშუალო კავშირი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დაემატა „ფეისბუკ- რუმზი'', სადაც ჯგუფურად შეიძლება ონლაინ გაკვეთილების ჩატარება და სრულად არის მიბაძვა ცოცხალი საკლასო ოთახის გაკვეთილებისა.

სასწავლო რესურსის ამპლუაში, მოსწავლეებს შესაძლოა შევთავაზოთ იმ ხასიათის გვერდები, რაც მათ ინტერესს გამოიწვევს, უმეტესობა სოციალურ ქსელში განთავსებული ხმოვანი, ვიზუალური მასალისა ინგლისურ ენაზე მოიპოვება, მოსწავლე

ტექნოლოგიურ ლექსიკას მარტივად ფლობს, უადვილდება ენის ათვისება, თან აქვთ ალტერნატივის უფლება, რაც მათ ინტერსს დააკმაყოფილებს მსგავსს არხებს გამოიწერენ, ასევე შეუძლიათ თავადვე გახდნენ მსგავსი არხების შემქმნელები და მათ თანაკლასელებს გაუზიარონ მათი გვერდები.

Instagram - სასწავლო რესურსი მოსწავლეებს სთავაზობს გვერდების ჩამონათვალს:

სამეცნიერო-შემეცნებითი გვერდი - science

(https://www.instagram.com/science/)

ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ გვერდი-

Tech (https://www.instagram.com/tech/)

ონლაინ ჟურნალი საინტერესო სიახლეებით-

National geographic (https://www.instagram.com /natgeo/)

ინგლისური ენა ფოტოსურათებით, სასწავლო პლატფორმა ewa learning English აპლიკაციის ანალოგი-

(https://instagram.com /ewa.english/)

ვლოგი მარინასთან ერთად, სახალისო სწავლა ინგლისური ენის ,ონლაინ ბლოგები განთავსებული ინსტაგრამის გვერდზე-

(https://instagram.com/linguamarina/)

ყოველდღიური სასაუბრო ფრაზები ქართული ენის ანალოგით, იდიომები და სხვა სიტყვათშორისი შეთანხმებები გვერდზე-

(https://instagram.com /English_for_georgians/)

მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავადვე შექმნას საკუთრი გვერდი, წარმოაჩინოს მისი ცოდნა, ისწავლოს ენათშორისი მსგავსების შესწავლა. დააკავშიროს გრამატიკა და ლექსიკა, საკუთარი რესურსის წყალობით თვის ცოდნას მარტივად გაუზიარებს თანაკლასელებს, სოციალურ ქსელში მოსწავლე მეტად თამამი და გაბედულია, მასწავლებელი მოსწავლის ინდივიდუალურ მხარეს ხედავს და სუსტი მხარეების აღმოფხვრაში ეხმარება.

სოციალური ქსელი, მობილური მოწყობილობები სათამაშო სულაც არ არის, თავისუფლად შეიძლება შემეცნების წყაროდ ვაქციოთ, მოსწავლეები კი ისწავლიან თამაშით, კეთებით, ხალისით, სკოლა მეგობრულ სახლად გადაიქცევა,, მასწავლებელი კი მეგობრად, ეს არის იდეალური სკოლის ნიმუში, მოსწავლეებს

გვერდით დავუდგეთ და ტექნოლოგიურ საუკუნეში დავიცვათ ბავშვები და მოზარდები, რომ არა მიზან-მიართულად არ გამოიყენონ ტექნოლოგიები და ინტერნეტთან წვდომა.

ბლოგი, როგორც სასწავლო რესურსი ინგლისური ენის სწავლებაში საგანმანათლებო სიახლეების, თანამედროვე ეპოქაში დანერგვამ, სწავლების დონე უფრო მეტად პრიორიტეტული გახადა. მთელ მსოფლიოში, სასწავლო პროცესში განსაკუთრებით დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება, ციფრული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება კი ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორად შერჩეული სასწავლო რესურსები გაკვეთილის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების საწინდარია. მასწავლებელს სჭირდება სწავლების ზოგიერთ ეტაპზე თავი აარიდოს სახელმძღვანელოს სტანდარტულ ჩარჩოებს, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, შექმნას სწავლებისთვის მოსახერხებელი განსხვავებული სტილი, შექმნას სასწავლო რესურსი და დანერგოს ინოვაციები.

ბლოგი ეს არის ერთი ან რამდენიმე ვებ-გვერდი, რომელიც შექმნილია ყოველდღიური ჩანაწერებისთვის. ჩანაწერი შეიძება იყოს ტექსტური ხასიათის, ვიდეო, ვიზუალური ან აუდიო მასალა. ბლოგი, წესისამებრ, აღწერს სხვადასხვა მოვლენას, აძლევს მას ავტორის მიერ დაწერილ პირად შეფასებას, უკეთებს კომენტარებს და სთავაზობს სხვებსაც განხილვის თემად აქციოს ესა თუ ის მასალა;

თანამშრომლობითი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სულ უფრო ხშირად იყენებენ ბლოგებს, რომლებსაც სხვაგვარად ეწოდებათ ინტერნეტ ელექტრონული ჟურნალები. ზოგიერთი ასეთი გვერდი ყველასთვის არის ხელმისაწვდომია. ძალიან მნიშვნელოვანია ბლოგის მაქსიმალურად გამოყენება. გასულ წლებში ამაზე ვერც კი იფიქრებდა განათლების მიმდევრბი, რადგანაც არ არსებობდა კომპიუტერი და ინტერნეტი. მოხდა სკოლების ტექნიკურად აღჭურვა და ინტერნეტიზაცია გახდა გლობალური მოვლენა. რაც შესაძლებლობას ქმნის მრავალფეროვანი რესურსის და მათ შორის ბლოგების გამოყენება სხვადასხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-ჩატარებისას. სასწავლო პროცესში ბლოგები გამოიყენება მოსწავლეების მოსაზრებების შესაგროვებლად, შესწავლილი მასალის გასააზრებლად,სასწავლო თემის ირგვლივ დებატების ჩასატარებლად.

ბლოგების ჩართვა სწავლა-სწავლებაში კერძოდ მოსწავლეებს ეხმარება დადებითი ემოციური ფონის შექმნაში, ბლოგი ავითარებს ბავშვის შემოქმედებით უნარებს, ზრდის ბავშვის მოტივაციასა და ინდივიდუალურობას, სწავლებას კი, უფრო მრავალფეროვანს ხდის. ბლოგი მასწავლებლებს ეხმარება ბავშვის უკეთ შეცნობაში, ცოდნისა და უნარების უკეთ შეფასებაში; ეხმარება ეძებოს სწავლების ახალი, არატრადიციული მეთოდები და ფორმები; ეხმარებაკოლეგებთან თანამშრომლობის ხარისხის ზრდაში , სიახლეების გაცნობასა და ურთიერთგაზიარებაში.

გლოგი- ციფრული გრაფიკული ბლოგია, რომლის გამოყენება შესაძლებლია ინგლისურის გაკვეთილზე და არსებობს მისი ვებ – გვერდი Glogster, თუ სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ან მოსწავლეებს აქვთ კომპიუტერი და ინტერნეტი, მაშინ გლოგები შეიძლება იყოს შესანიშნავი გზა, რომ ინგლისური ენის გაკვეთილი უფრო მხიარული გახდეს! უბრალოდ საკლასო კომპიუტერის საშუალებით შეგიძლიათ იპოვოთ კრეატიული გამოსავალი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დროდადრო გამოიყენონ გლოგები კლასში.

წარმოგიდგენთ ბმულს, სადაც მოცემულია გლოგის შექმნის ვიდეო ინსტრუქცია : (https://youtu.be/QQGxSig8lAM)

ვლოგი - ვლოგი ანალოგია ბლოგისა, რომლის მეშვეობითაც პედაგოგები და მოსწავლეები იდეებს, ახალ ინფორმაციას ვებ გვერდებზე აქვეყნებენ და აზიარებენ, განსხვავება კი ის არის, რომ ვლოგი ეს ვიდო მასალაა, ხოლო ბლოგი ტექსტუალური მასალით შემოიფარგლება. ვლოგინგის ფუნქცია სხვა სოციალურ ქსელებსაც აქვთ, მაგალითად FACEBOOK, TWITTER, INSTAGRAM და სხვებს.

მოსწავლეები ვლოგის გამოყენებით მეტწილად ვიზუალურ მასალას ადვილად იმახსოვრებენ ინგლისური ენის გაკვთილზე ვლოგინგი ძალიან კარგი საშუალებაა მოსწავლეების დასაინტერესებლად, მასალის გასამარტივებლად, ვლოგი ვიზუალური პლატფორმაა და ადამიანებს ეხმარებათ თავისი გამოცდილება, იდეები, აზრები და ცოდნა გაუზიარონ სხვებს.

ინგლისური ენის გაკვეთილზე ვლოგის გამოყენება შესაძლებელია:

. შექმნა პორტფოლიო მოსწავლის ნამუშევრების;

. ჩაწერო გაკვეთილი და შემდეგ გამოაქვეყნო პუბლიკაციის სახით;

. კომუნიკაცია სკოლის გარეთ;

. ურთიერთობა და გუნდური მუშაობა;

. მშობლებთან ინტეგრაცია საკლასო ოთახის.

სოციალური ქსელში არსებული სასწავლო პლატფორმები, ციფრული ტექნოლოგიები და ელექტრონული რესურსი:

https://lingwing.com/ka/, https://www.duolingo.com/ ,https://www.edmondo.com/
https://appewa.com/ , https://kahoot.com/ https://thinglink.com/
https://storybird.com/

ჩამოთვლილი პლატფორმების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში მნიშვნლოვანია ტესტური დავალებების შესასრულებლად და შესაფასებლად, შეიძლება როგორც მთელი კლასის სრულყოფილად მართვა პლატფორმაზე, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული სასწავლო მასალები ერთფეროვანია და მოსაწ-ყენია, სწავლების გასამრავალფეროვნებლად. საუკეთესო გზაა მშობლიურ ენასთან ადვილად გადამრთველი აპლიკაციის არჩევა, რათა სიტყვების მნიშვნელობა ადვილად გაიგოს მოსწავლემ.

პლატფორმა Lingwing - უცხოური ენების ონლაინ სწავლებისთვის შექმნილი პლატფორმაა, მარტივია მობილური მოწყობილობისთვის, საშუალებას გაძლევს ისწავლო 6 ზე მეტი ენა, აქვს ფასიანი და ასევე უფასო სასწავლო პაკეტები, ხოლო ენები დონეების მიხედვით არის დალაგებული, უფასო პაკეტის დავალებები 24 საათში ერთხელ ირიცხება, ინგლისური ენის შესასწავლად აქვს დამატებითი ტურისტული- b2 დონე, რაც სრულიად უფასოა და ენის შემსწავლელს აძლევს საშუალებას სასაუბრო ენა კარგად აითვისოს, აუმჯობესებს, წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი. ოთხივე კომპონენტს აკმაყოფილებს, თუ პიროვნება შეცდომას უშვებს ენის შემსწავლელი იმეორებს იქამდე, სანამ არ იქნება სრულყოფილად გაცემული პასუხი, ასევე გრამატიკული დროისა და კატეგორიების მარტივ ენაზე ახსნა და ჩვენება შეიძლება, ინგლისური ენა სემიოტიკური ენაა და სიტყვის მნიშვნელობის სწავლას აუცილებლად კონტექსტი ესაჭიროება ,ზემოთ ხსენებული პლატფორმა სიტყვას ფრაზისეულად გასწავლის და დროთ განმავლობაში , მოსწავლის საუბრამდე მივყავართ.

პლატფორმა Dualingo - უფასო მობილური აპლიკაცია უცხოური ენის შესასწავლად, ძალიან მარტივი და ეფექტური გზაა, იწყება მარტივიდან ანუ საბაზისო ლექსიკისა და გრამატიკით და შემდეგ რთულდება, სახალისო და

საინტერესო მეთოდია, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს გაკვეთილების შემდეგ შეუძლია დრო სწორად გამოიყენოს, თან დაეუფლოს ენას, სავარჯიშოები და 30 ზე მეტი ენის შესწავლის საშუალება. როგორც lingwing ასევე dualingo სრულად აკმაყოფილებს უცხოური უნარების განვითარების ოთხივე კომპონენტს.

საგანმანათლებლო პლატფორმა Edmodo - აერთიანებს მოსწავლეებსა და მასწავ-ლებელს სოციალურ ქსელთან ასიმილაციით. სასწავლო პლატფორმით მასწავ-ლებლებს შეუძლიათ შექმნან ონლაინ კოლაბორატიული ჯგუფები საკლასო ოთახში მობილური მოწყობილობები თითქმის ყველა მოსწავლეს აქვს, ტესტირებისთვის, მოსწავლეების ცოდნის შესამოწმებლად ედმონდო ქომი და კაჰუტ ქომი სწავლებას ხდის მრავალფეროვანს ,მოსწავლის მოტივაციას ზრდის , მოსწავლეებისთვის შესაძ-ლებლობაა ლექსიკის ,გრამატიკის ვიზუალურად დამახსოვრება, ფოტოსურათების მეშვეობით, უფასო აპლიკაცია სრულად აკმაყოფილებს მოსწავლის უნარებს. ამ საგან-მანათლებო პლატფორმას 34 მილიონზე მეტი მომხმარებელი ყავს, მისი მეშვეობით სასწავლო პროცესი ტექნოლოგიებით დიდ შესაძლებლობებს ბადებს.

პლატფორმა Learning app - სწავლისა და სწავლების ინტერაქტიული მხარდასაჭერი პლatფორმა. შესაძლებელია დამოუკიდებლად ონლაინ რეჟიმში მათი შექმნა და რედაქტირება. მომხმარებელს შეუძლია საკუთარ გვერდზე შექმნას და განთავსოს სასწავლო დანართები ყველასთვის ხელმისაწვდომი მრავალჯერადი გამოყენების. კონკრეტულ საჭიროებებს რომლებიც აკმაყოფილებს სწავლების პროცესს და არ არის ინტერაქტიული თვალსაზრისით შეზღუდული. აქვე ვირტუალური კლასების შექმნაა შესაძლებელია, საკუთრივ დავალებების ატვირთვა, და მათი შემოწმება. პედაგოგიური პრაქტიკა გაცილებით საინტერესო ხდება და მრავალფეროვანი ამ აპლიკაციის გამოყენებით. გავუზიაროთ ერთმანეთის გამოცდილება, რათა ვისწავლოთ უკეთ.

პლატფორმა Ewa learning English - უცხოური ენების სწავლების პლატფორმა საშუალებას აძლევს ენის შემსწავლელს კარგად მოერგოს სასაუბრო ენასა და თანამედროვე ენის იმ ნიუანსებს, რასაც სკოლაში ვერ ასწრებს მოსწავლემ, რომ ისწავლოს. ევა ეს არის მოსასმენი ელექტრონული ,აუდიო ვიზუალური ბიბლიოთეკით უზრუნველყოფილი აპლიკაცია და მოსწავლე მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობს თავს სწავლების პროცესში, ვინაიდან ფრაზები, რასაც მოსწავლე ისმენს, წერს, კითხულობს არის ცნობილი ფილმებიდან, მოსწავლის

გამოთქმა ხდება ბუნებრივი და ლექსიკურ მარაგს ივსებს მოსწავლე აპლიკაციაში არსებული ტესტების მეშვეობით, ელექტრონული ბიბლიოთეკის გარდა აქვს ლექსიკური თამაშები, კროსვორდები, მოსწავლე იმაღლებს მოტივაციას, არის მაქსიმალურად კომფორტულად, სწავლობს თამაშით და ხალისით. ენის შემ-სწავლელს აქვს საშუალება ელექტრონულად საუბროს პირდაპირ აპლიკაციიდან ცნობილ მსახიობს, ფილმის მთავარ გმირს და დაამყაროს ონლაინ კომუნიკაცია უცხოურ ენაზე, ეს რა თქმა უნდა აისახება მოსწავლის ცოდნის ზრდაზე.

Thinglink – განათლების სფეროში მომუშავე პირებს აძლევს საშუალებას შექმნან ინტერაქტიული ფოტოსურათები მუსიკის, ტექსტების, ფოტოსურათების, ხმოვანი მულტიმედიის დახმარებით, მისი გაზიარების საშუალება შეიძლება ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელში, როგორებიცაა facebook და twitter. მოსწავლეების მოტივაციისა და ინტერესის გასაზრდელად საუკეთესო საშუალებას იძლევა.

Storybird - საგანმანათლებლო ინსტრუმენტი , რომლიც ავითარებს მოსწავლის წერა- კითხვის უნარებს, მასწავლებლებს შეუძლიათ ინტერაქტიული წიგნების შექმნან, ონლაინ რეჟიმში მარტივად გამოსაყენებლად, ასევე მსგავსი ინტერაქტიული წიგნების გაზიარება შეიძლება ბლოგებზე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამ ხელსაწყოს დახმარებით მასწავლებლები ზოგჯერ პროექტ გაკვეთილსაც ატარებენ და მართავენ კლასებს დონეების მიხედვით.

პლატფორმა Kahoot - წარმოდგენს საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც დაფუძნებულია თამაშებსა და კითხვებზე. ამ ხელსაწყოს მიხედვით პედაგოგები ქმნიან კითხვარებს, კვლევებს, დისკუსიებს რაც აკადემიური გაკვეთილის შემადგენელი ნაწილია. მოსწავლეები გაკვეთილზე ერთდროულად სწავლობენ და თამაშობენ. kahoot მოსწავლეს უქმნის სახალისო სასწავლო გარემოს.

Google - ციფრული გარაჟი , ინფორმაციის უწყვეტი წყარო,რომელიც აერთიანებს მსოფლიო ინფორმაციას და აწვდის მომხმარებლებს. ინგლისური ენის სწაველბაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ,ვინაიდან მასში შემავალი საგანმანათლებლო რესურსი მოსწავლეს აძლევს მოძების საშუალებას.ინგლისური ენის შესსწავლად არსებული ონლაინ ბიბლიოთეკა, მონაცემთა ბაზები ,ლექსიკონები, წიგნები , სავარჯიშოები, ვიდეოები , ფოტოსურათები .

Wiki - სასწავლო პრაქტიკაში გავრცელებული საგანმანათლებლო ინსტრუენტია სასწავლო ვიკი , ვიკიპედიის მქონე სასწავლო ვებგვერდი. ვიკი გამოიყენება

ჯგუფური წერის დროს, ვებგვერდის ერთობრივი განვითარების , სხვადასხვა საკითხზე ინფორმაციის მოპოვებისას , პროექტების დაგეგმვისას, მასზე შესაძლებებლია მულტიმედია ფაილების განთავსება .

ინგლისური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია შემდეგი კომუნიკაციური არხები:

Gmail (http://mail.google.com/),

Skype (http://www.skype.com),

TokBox (http://www. tokbox.com/),

Windows Live Messenger (http://explore.live.com/windows-live-messenger),

Yahoo! Messenger (http://messenger. yahoo.com/),

Jabberwacky (http://www. jabberwacky.com/),

Verbot (http://www. verbots.com/),

MyBB (http://www.mybboard. net/),

phpBB (http://www.phpbb.com/),

Tangler (http://www.tangler.com/)

Voxopop (http://voxopop.com/)

ელექტრონული წერილი ინგლისური ენის სწავლებაში - ელექტრონული კომუნიკაცია დღევანდელ ეპოქაში არის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი. როდესაც პერსონალური უკუკავშირის გაგზავნა გვინდა ელექტრონული წერილი ზედ-გამოჭრილია. ელექტრონული მესიჯი ასინქრონული კომუნიკაციის ფორმაა, ზოგჯერ ინტერნეტ აპლიკაციის დედასაც უწოდებენ. ელექტრონული წერილი (მესიჯი), სხვა ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიური პროდუქტების მსგავსად, შესაძლოა იქცეს მედიუმი სამიზნე ენასთან შეტყობინების შექმნისა და გაგზავნის ჩათვლით თანაჯგუფელებთან ან მთელ მსოფლიოში .

გრამატიკის, ლექსიკის, კითხვის და წერის გარდა ელექტრონული მესიჯის მეშ-ვეობით შესაძლოა მოსწავლემ ისწავლოს სწორად მისალმება, გაცნობა სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლებთან, რაც კომუნიკაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სხვა-თაშორის იმეილის გაგზავნა სტუდენტს გამოადგება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, თუმცა პედაგოგმა სწორად უნდა შეარჩიოს ტექსტი.

ენის გართულება უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ და ბავშვები ჯერ მხოლოდ ცხრი-ლების საშუალებით და იმ მასალის მეშვეობით უნდა ინფორმირდნენ, რაც მათთვის ნაცნობია, ასევე აუცილებელია ფიდბექი ანუ უკურეაქცია და ეს არის უმნიშვნე-ლოვანესი, იფიქროთ უნდა თუ რას შეუსწორებთ მოსწავლეს, აუცილებლად სამარ-

თლიანად ოღონდ არა საჯაროდ. არაადეკვატურმა შესწორებამ შესაძლოა მოსწავლე უხერხულობამდე მიიყვანოს და წაართვას მოტივაცია. არც შენიშვნების იგნორირება შეიძლება და არც მწვავედ გამოხმაურება. სიმბოლოებიც გამოიყენეთ, ვინაიდან საერ-თო სიმბოლოები ქმნის იმ გარემოს ,რამაც შესაძლოა მოკარნახის ფუნქცია დაიკის-როს. ამ ფუნქციათა შესასრულებლად skype - არის ინსტრუმენტი, რაც ამ პროცესს გაგიადვილებთ. ეს არხი არის ყველასათვის ნაცნობი და თან ხელმისაწვდომი, უფასო და აადვილებს ელექტრონულ კომუნიკაციას. ვირტუალური საკლასო ოთახი ანუ EDMO-NDO, გვაქვს უკვე ქართული ვარიანტი, უაღრესად ბევრი ინფორმაცია არის განთავსებული, სკოლის ხელმძღვანელზეა დამოკიდებული გამოიყენებენ თუ არა ამ სასწავლო ინსტრუმენტს. „მაიკროსოფტ საქართველოდან“ ცნობილია, რომ მაიკრო-სოფტ თიმსი-ს 6 თვის მანძილზე კორონა ვირუსის ფარგლებში ხელმისაწვდომი მსოფლიოს მასშტაბით იქნება. EMIS ეს გახლავთ მასწავლებელთა სისტემა, სადაც არამარტო პედაგოგებს, არამედ მოსწავლეებსაც აქვთ საშუალება მომხმარებლის სახელით დარეგისტრირდნენ, აუცილებელია აპლიკაციის ჩამოტვირთვა და მომხმარებლის გააქტიურება. შემდეგ იგეგმება გაკვეთილი საფეხურების და სასწავლო გეგმის მიხედვით.

თავი III კვლევა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შესწავლა და გადაჭრის გზების ძიება ინგლისური ენის გაკვეთილზე

კველევა ჩავატარეთ აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში ბათუმის #2 #7 # 11 #22 #23, სოფელი აგარა, ორთაბათუმი, თხილნარის, ქალაქ ქობულეთის მუხაესტატეს, ალამბრის, ჯიხანჯურის , აჭყვისთავის , წყავროკის ,ზენითის საჯარო სკოლებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო კლასების ინგლისური ენის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

კვლევის საფუძველზე სულ ონლაინ გამოკითხულ იქნა 309 რესპოდენტი, აქედან 108 მოსწავლე , 112 მასწავლებელი და 89 მშობელი. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს პირველ ეტაპზე გამოკითხული იქნა საჯარო სკოლების ინგლისური ენის

მასწავლებლები, მეორე ეტაპზე მოსწავლეები, ხოლო მესამე ეტაპზე მოსწავლეთა მშობლები.



კვლევის პირველი ეტაპი-კვლევაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებმა.

კითხვარი მასწავლებლებისთვის :

კითხვაზე - მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ?

გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებლების 100% მიზანშეწონილად მიიჩნევს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.



კითხვაზე- იყენებთ თუ არა ციფრულ ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში?

გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებლბი მასწავლებლების 83% უპასუხა დადებითად, ხოლო 17% უარყოფითად.



კითხვაზე - ეხმარება თუა რა ციფრული ტექნოლოგიები მოსწავლეს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებაში?

გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებლების 78% დადებითად უპასუხა,ხოლო 22% უარყოფითი პასუხი გასცა.



კითხვაზე- რომელ ინოვაციურ მეთოდს იყენებთ სასწავლო პროცესში კერძოდ ინგლისური ენის გაკვეთილზე და რა მიზანს ემსახურება?

გამოკითხვის შედეგად ,ღია კითხვაზე ინგლისური ენის მასწავლებლებმა შემდეგი პასუხები გამცეს ,პასუხები შემდეგნაირია :

‘’ ვცდილობ კლასგარეშე საკითხავი წიგნების და მასალების მოძიება-დამუშავებას ვინაიდან მოსწავლეებს განუვითარდეთ კომპიუტერთან მუშაობის უნარი.’’

‘’ learning app, და სხვა სასწავლო პლატფორმებს ვიყენებ ბავშვს ეხმარებათ თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ’’

‘’ სხვადასხვა ვებგვერდებიდან ვიღებ მასალებს , ვაცნობ მოსწავლეებს , თვალსაჩინოების მეთოდს მივმართავ’’

‘’ პრეზენტაციის სახით ვუსხსნი ახალ მასალას’’

‘’ ვიდეო- აუდიო საშუალებებით ავცნობ სხვა ქვეყნების კულტურას, ისტორიას, ეს მათთვის მეტად საიტერესოა,ასევე ბავშვებს ვასწავლი

როლურ თამაშებს , ისინი თამაშობენ სხვადასხვა პერსონაჟის როლს , რაც ტექსტის უკეთ გააზრებაში ეხმარებათ“

‘’ თამაშის მეთოდით - ერთად ვიგონებთ თამაშებს და სხვა აქტივობებს“

‘’ ვიყენენებ ციფრულ გამოცემებს: ჟურნალებს, გაზეთებს , წიგნებს, საპრეზენტაციოდ დაფას ,რომელზეც ბავშვები მუშაობენ და თავდ ქმნიან მასალას ინგლისურად. ‘’

მასწავლებლების უმეტესობამ თავი შეიკავეს კითხვისგან პასუხის გასაცემად, მათი უმეტესი ნაწილი მზა რესურსით სარგებლობს და თავად არ ქმნიან სიახლეს.

კითხვაზე - იცავთ თუ არა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას საგაკვეთილო პროცესში ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს?



გამოკითხულიდან ინგლისური ენის მასწავლებლების 65 % იცავს სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს , ხოლო დანარჩენი 35% გამოკითხული არ იცავს .

კითხვაზე- სარგებლობთ თუ არა დისტანციური სწავლების მეთოდით ?



გამოკითხული მასწავლებლების 78 % იყენებს დისტანციური სწავლების ემთოდს , ხოლო 22% არ იყენებს.

კითხვაზე- თუ სარგებლობთ დისტანციური სწავლების მეთოდით, რომელ პროგრამულ უზრუნველყოფას ანიჭებთ უპირატესობას?



გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებლების 59% უპირატესობას ანიჭებს - MICROSOFT TEAMS ,20% ZOOM ,13% FACEBOOK MESSNGER ROOMS ,ხოლო 7% SKYPE .

კითხვაზე- ატარებთ თუ არა ინგლისურ ენის სწავლებაში პროექტ გაკვეთილებს?



გამოკითხული ინგლისური მასწავლბლბის 33% იყენებს პროექტმეთოდის როლს ინგლისური ენის გაკვეთილზე, ხოლო 67% სართოდ არ ატარებს პროექტგაკვეთილებს ინგლისური ენის გაკვეთილზე.

კითხვაზე -გაქვთ თუ არა ელექტრონული პორტფოლიო-ბლოგი?



გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლების 48%აქვს საკუთარი ელექტრონული პორტფოლიო ,ბლოგი რის საფუძველზეც ამყარებს უკუკავშირს მოსწავლეებთან, ხოლო 52 % არ გააჩნია საკუთარი ელექტრონული პორტფოლიო.

კითხვაზე - შეგიქმნიათ თუ არა საგაკვეთილო რესურსი პორტალზე?



გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებლების 74% შუძლია შექმნას სასწავლო რესურსი-პროდუქტი პორტალზე, მხოლოდ პრზენტაციის სახით, ხოლო 26% საერთოდ არ შეუძლია რესურსის შექმნა და იყენებს მზა რესურსებს.

კითხვარი მოსწავლეებს

კითხვაზე -რა ხანგრძლივობით იყენებთ ციფრულ ტექნოლოგიებს?



გამოკითხული მოსწავლეების 39% მთლ დღეს ატარებს ეკრანთან ,30 % 3-4 საათს ,ხოლო 31% 1-2 საათს დღეში.

კითხვაზე- გეხმარებათ თუ არა ციფრული ტექნოლოგიები თვითშემეცნების (თვითსწავლის) პროცესში?



გამოკი

თხული მოსწავლეების 68 % აღნისნავს რომ , ციფრული ტექნოლოგიები ეხმარება თვითსწავლის პროცესსი,ხოლო 12% უარყოფითად უპასუხა.

კითხვაზე- სარგებლობთ თუ არა ბლოგით?



გამოკითხული მოსწავლეების 72% უარყოფითად უპასუხა ,ხოლო 28% აღნიშნა რომ სარგებლობენ ბლოგებით.

კითხვაზე- ინგლისური ენის გაკვეთილზე სარგებლობთ თუ არა საგაკვეთილო პროცესში მოსმენითი დავა?



გამოკითხული მოსწავლეების 74% აღნიშნა რომ სარგებლობენ ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსმენითი დავალებებით ,ხოლო 26% უარყოფითად უპასუხა.

კითხვაზე- ჩართული ხართ თუ არა სწავლა-თამაშის პროცესში?



გამოკითხული მოსწავლეების 72 % აღნიშნა რომ ჩართულები არიან სწავლა-თამაშს პროცესში,ხოლო 28 %უარყოფითად შეაფასა .

კითხვარი მშობლებს

კითხვაზე - ჩართულია თუ არა თქვენი შვილი დისტანციური სწავლების პროცესში?



გამოკითხული მოსწავლეების მშობლების 83% დადებითად უპასუხა კითხვას , ხოლო 17% უარყოფითად.

კითხვაზე- იყენებთ თუა რა ციფრულ ტექნოლოგიებს ?



გამოკითხული მოსწავლეების მშობლების პასუხები თანაბარია, 50 % იყენენბს ,ხცოლო 50% არ იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს.

კითხვაზე - იცავთ თუა არა ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს ?



გამოკითხული მოსწავლეების მსობლების 89% პროცენტი არ იცავს სამართლებრივ ნორმებს,ხოლო 11% იცავს, მეტიც ინფორმაცია არ გააცნიათ

ეთიკური და სამართლებრივი ნორმების შსახებ ,აუცილებებლია ცნობიერების გაზრდა მშობლებში.

კითხვაზე - რომელ აპლიკაციებს ანიჭებთ უპირატესობას ?



გამოკითხული მოსწავლეების მშობლების დომინანტი აპლიკაცია YOUTUBE არხია ,55,6 იყენენბს ყოველდღიურად,, შემდეგ მოდის FACEBOOK აპლიკაცია 50% , MICROSOFT TEAMS 38,9 % იყენებს, ZOOM 27,8%, LINGWING 11,1% ,dualingo 2%,და ბოლოს EWA LEARNING ENGLISH 5,6,

კითხვაზე -აკონტროლებთ თუ არა თქვენი შვილის დროს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დროს ?



გამოკითხული მოსწავლეების მშობლების 61 % არ აკონტროლბს შვილის ეკრანთან გატარებულ დროს, ხოლო 39% აკონტროლებს.

კვლევის დასკვნა :

ჩატარებული კვლევის ანალიზით ვასკვნით :

● ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების მოტივაცია იზრდება, იმ შემთხვევაში თუ საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება უწევთ ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით;

● გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, აუცილებელია თვითშემეცნების განვითარება მოსწავლისთვის

● კვლების პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზი, ინგლისური ენის ვებ გვერდებზე წვდომის არახელმისაწვდომობა. აუცილებელია თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილი იყოს, უცხო ენოვანი ვებ გვერდების ხელმისაწვდომობით.

● კვლევამ დაადასტურა რომ, დისტანციური სწავლება გარდაუვალი გახდა.

რეკომენდაციები :

» ინგლისური ენის მასწავლებელს გავლილი ქონდეთ ტრენინგი ინფორ-მაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში;

» აუცილებელია მოსწავლეები ფლობდნენ ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს;

» სასურველია ინგლისური ენის მასწავლებელს ციფრული ტექნოლოგიებით შესასრულებელი დავალებები და სავარჯიშოები დაგეგმოს მარტივიდან
რთულისკენ;

» აუცილებელია ინგლისური ენის მასწავლებელმა მოსწავლეს შესთავაზოს მრავალფეროვანი და მათ საჭიროებაზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე მორგე-ბული ვებ გვერდები და პლატფორები;

» აუცილებელი ინგლისური ენის მასწავლებელმა იცოდეს მოსწავლეების სუსტი და დადებითი მხარეები, რადგან ინდივიდუალურად დაგეგმოს ენობრივი აქტივო-ბები;

» სასურველია ინგლისური ენის მასწავლებელმა მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლების მიზნით, აჩვენოს პირადი ონლაინ პლატფორმა, პორტფოლიო;

» აუცილებელია მასწავლებელმა, მშობელმა აკონტროლოს მოსწავლის მიერ ციფ-რულ ტექნოლოგიებთან გატარებული დრო;

» აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისება იმ მასწავ-ლებლის, რომელიც მიზანმიმართულად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად და შედეგიანად წარმართვისთვის;

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაძე ი. ჭოხონელიძე ნ. კოსტავა ნ. სწავლება და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები ,შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგად პედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი , 2011;

2. გელაძე დ. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება პედაგოგიური პრაქტიკისთვის, თბილისი 2018;

3. გელაძე დ. ,გორგაძე ზ. - თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,შრომები, ქუთაისი 2015;

4. გიორგაძე მ. ,კომპიუტერის საშუალებით უცხოურ ენაზე კითხვის სწავლების მეთოდური თავისებურება; იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი ,შრომების კრებული - საზრისიN22, თბილისი ,2006;

5. გლანცი ჯ. საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის , თბილისი 2016

6.გობრონიძე ა. პედაგოგიკა, თბილისი 2015;

7.გოჩიტაშვილი ქ.სათაური საერთაშორისო ჟურნალი -მულტილინგვური განათლებისთვის N2 ,2014 ,

8.დოლიძე თ. სწავლების თანამედროვე ტექნიკური გავლენა ინგლისური ენის შესასწავლად, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ‘’კულტურათაშორისი დიალოგები’’ შრომები-,თელავი, 2011;

9.ვასაძე ნ, გაგუა ვ, გურგენიძე დ, მგალობლიშვილი თ, სიხარულიძე გ, ჩხიკვაძე ა, პედაგოგიკის ისტორია ,თბილისი,1988;

10.ზოიძე ნ, ზოიძე ქ, უცხოური ენის სწავლების თანამედროვე ,მიმართულებები ,ტექნოლოგიები ,რიგი კონცეფციები მეცნირებათა და

საზოგადოების განვითარების ფონდი ‘’ინტელექტი’’ III სართაშორისო - სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ბათუმი 2014;

11.მეტრეველი მ, ელექტრონული სწავლების მეთოდები და საშუალებები მოკლე მიმოხილვა და სამუშაო გეგმა, საგარეო ურთიერთობათა განვითარების სამსახური საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი , თბილისი ,2018;

12.მოდებაძე ც, უცხოური ენის სწავლება პროექტის მეშვეობით, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები -კულტურათაშორისი დიალოგები ,იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, 2011;

13.მჟავანაძე ე. ტექსტებზე ორიენტირებული კომპეტენციების სწავლება ,სწავლა უცხოური ენების მაგალითზე , ბათუმი.,2013;

14. მშვიდობაძე თ. ელექტრონული სწავლების პლატფორმა MOODLE საგანმანათლებლო პროცესში , I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები -კულტურათაშორისი დიალოგები , იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი 2011

15.ნადირაშვილი თ, ინგლისური ენის ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიები ,მეცნირებათა და საზოგადოების განვითარების ფონდი ‘’ინტელექტი’’ III სართაშორისო -სამეცნიერო კონფერენცია -ბათუმი ,2014;

16. ჟღენტი თ, ცუცქირიძე ზ, ლექციების კურსი პედაგოგიკაში II ნაწილი ,თბილისი ,1999;

17. ჩაჩანიძე გ, სართანია ვ, ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი გამოყენების პერსპექტივები ,თბილისი 2004;

18. ჯინჯიხაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები ,თბილისი 2012;

19. ხალვაში ხ , ციფრული ინსტრუმენტები სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის , თბილისი,2020

20. ჭიჭაშვილი ე, ზაქარიაშვილი მ , II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია , საქართველოს მეცნიერების და განვითარების ფონდი ‘’ ინტელექტი’’ ბათუმი შოთა რუსთაველსი სახლმწიფო უნივრსიტეტი ,თელავის სახლმწიფო უნივერსიტეტი , ელექტრონული რესუსრსის შექმნის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ,ბათუმი 2012 ;

21. Геладзе Д. Л , Информатизациа у. бн Историко-филологиеские изыскание ,боломде Санк-петербург 2010 ,Батуми;

22. Bagrationi I, Georgian technical university verbal communication techniques -2 - The issue of student distance communication and collaboration for English teaching, Tbilisi 2010;

23. Kadagidze L, Iakob Gogebashvili state pedagogical science and national university, SAZRISI #22 , Cooperative learning and computers , Tbiliis 2006;

24.Nanobashvili K, Piranishvili R, II international sciencific conference computing /computer sciences, teaching education – Computer interactive marketing in smll business, Batumi 2012;

25. Rodinadze S, III Iternational scientific- methodological conference, urgent problems of teaching and upbringing – listening method – means of teaching English language Kutaisi 2012;

ინტერნეტრესურსი:

26. გაბუნია მ. ონლაინ სწავლება განათლების ახალი პარადიგმის ძიებაში, ამოღებულია http://platforma.ge/?p=3674

27.. ჯავახიშვილი მ. ციფრული ტექნლოგიების გამოყენება ასაკისა და განვითარების შესაბამისად ამოღებულია https://www.wvi.org/article/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-

%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93 21 ნოემბერი 2017 ;

28. ტაბატაძე ქ, - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების როლი სწავლა-სწავლების პროცესში ამოღებულია http://mastsavlebeli.ge/?p=1614 , 3აგვისტო,2015

29. http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/informaciuli%20standarti.pdf - დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის სტანდარტი;

30. www.tpdc.ge-ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, 2009;

31..https://youtu.be/ZTAJoStkToE - ტელესკოლის გაკვეთილი;

32.https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371%2Fjournal.pone.0158409 - - Birules –Muntane , S. Soto- Faraco – watching films can help earning foreign languages. 29 june,2016year;

33.https://educationaltechnologyjournal.springeropen.com/- ჟურნალი - International Of Education Technology In highter Education ,2020year;

34.https://journals.openedition.org/apliut/4234?lang=en&fbclid=IwAR3gsHyH-Z1jtuV9_i_27DSCz3AkJBOzvD5ra28pfrBVhRXLdi2PyveOdA4 Geraldine Mc Denmortt - The role of social media in foreign language teaching : A case of study for French ,2013;

35.https://www.webopedia.com/TERM/G/glog.html

what is glog?

36.https://www.mes.gov.ge/ - ამოღებულია-

მასწავლებლები ინტერაქტიური დაფის -smartboard- გამოყენებას სწავლობენ 09.12.2010წ;

37.https://elearningindustry.com/ - Ashutosh Chauhan -

11 digital education tools for teachers and students, 31.03,2018 year;

3. ამოღებულია https://techdict.ge/ka/word/ARPANET/

39. https://feedc.com/post/32010 - feedc edu პირველი ქართული სასწავლო პლატფორმა ონლაინ სწავლებისთვის

40. https://medium.com/@razmikb/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-150cc88af681 - ბადალიანი რაზმიკ, როგორია ეფექტური ტელესკოლა ? 10.04.2020;

41. https://on.ge/story/61430-google-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1 - გუგლი დისტანციური სწავლებისთვის ახალ ფუნქციებს ამატებს 11 აგვისტო 2020;

42. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fcdn.fbsbx.com%2Fv%2Ft59.2708-21%2F118751548_298396317925907_244087083582241284_n.docx%2F1-1-%25E1%2583%2594%25E1%2583%259A%25E1%2583%2594%25E1%2583%25A5%25E1%2583%25A2%25E1%2583%25A0%25E1%2583%259D%25E1%2583%259C%25E1%2583%25A3%25E1%2583%259A%25E1%2583%2598-%25E1%2583%25A1%25E1%2583%25AC%25E1%2583%2590%25E1%2583%2595%25E1%2583%259A%25E1%2583%2594%25E1%2583%2591%25E1%2583%2598%25E1%2583%25A1-%25E1%2583%25A1%25E1%2583%2598%25E1%2583%25A2%25E1%2583%25A3%25E1%2583%2590%25E1%2583%25AA%25E1%2583%2598%25E1%2583%25A3%25E1%2583%25A0%25E1%2583%2598-%25E1%2583%2590%25E1%2583%259B%25E1%2583%259D%25E1%2583%25AA%25E1%2583%2590%25E1%2583%259C%25E1%2583%2594%25E1%2583%2591%25E1%2583%2598-2.docx%3F_nc_cat%3D105%26_nc_sid%3D0cab14%26_nc_eui2%3DAeEnxjg6LpaNTlfWj-7Rv4W2_bBYGAIHxGj9sFgYAgfEaGC1aHB92jSJTb_gffsG9PdBFvF3ti5sJSnOLdZrW8n6%26_nc_ohc%3DQ0WcWUpPYvsAX9M3i6q%26_nc_ht%3Dcdn.fbsbx.com%26oh%3Ddecd2965ec5ea0d528e949c0f0c4f266%26oe%3D5F4DB09B%26dl%3D1&h=AT0IrVPz1OC1p3jUanbA3h-4EnZP4eJLR0wE-06XxL3nmE-OH4wy6wd7sdH82p0Ot0YbZhjxnh5RxN-Bxj9DkhNerqfcAaua3qnmZP1Ukj5_oxMm0SvH7xdULr4CgmNWNk3tf54gzCpWaPWz&s=1 - ელექტრონული სწავლების სიტუაციური ამოცანები ინტელის სასწავლო პროგრამა;

43. https://techdict.ge/ka/word/ARPANET/ - ტექნიკური ლექსიკონი ;

44. http://ncp.ge/ge/about/akhali-erovnuli-sastsavlo-gegma-2018-2024 - ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018- 2024;